წლიწადი მეორე   ფასი 7 კაპ.   სამშაბათი, 6 ქრისტეშობისთვე 1916 წ. № 272

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი [illegible] რდზე პეტიტით ღირს [illegible] კნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.

დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმად დამწუხრებული დედა მარიამ სოლომონის ასული ნანეიშვილისა, ძმა გიორგი ალექსანდრეს ძე, და კნ. ალექსანდრა ალექსანდრეს ასული ფალავასი და სიძე თ. იური მელქისედეკის ძე ფალავა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 2 ქრისტეშობისთვეს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ დარდაიცვალა უმცროსი ორდინატორი 455 საველე ჰოსპიტალისა, ექიმი

ევგენი ალექსანდრეს ძე
ნანეიშვილი

დაკრძალვა ქუთაისში, ხუთშაბათს, 8 ქრისტეშობისთვეს წირვის შემდეგ, საფიჩხიის სასაფლაოზე. ცხედარს გამოასვენებენ თბილისის რკ. გზის სდგურზე ლაზარეთიდან № 40 ოთხშაბათს, 7 ქრისტეშობისთვეს, საღამოს 5 საათზე.

(1—424—1)

კნ. ალექსანდრა ალექსანდრეს ასული, თ. იური მელქისედეკის ძე ფალავა და ქალი მათი კამელკა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ორ ქრისტეშობისთვეს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძმა პირველისა, ცოლის ძმა მეორისა და კეთილი ბიძა მესამისა ექიმი

ევგენი ალექსანდრეს ძე
ნანეიშვილი

ცხედარს გამოასვენებენ საავადმყოფოდან (ლაზარეთი № 40) ოთხშაბათს, 7 ქრისტეშობისთვეს, საღამოს 4 სათზე, თბილ. რკინის გზის სადგურზე. დაკრძალვა ქუთაისში ხუთშაბათს, 8 ქრისტეშობისთვეს წირვის შემდეგ საფიჩხიის სასაფლაოზე.

(1—424—1)

რვა ამა თვეს, ხუთშაბათს, სოფელ ბასილეთში (გურია) დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი, უდროოდ გარდაცვლილის (დროებით ალბულადში (ბელიკლიუჩში) დასაფლავებულის)

მოსე ბაგრატის ძის
კოპლატაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ეფდოკია ეპიფანეს ასული ოთხი პატარა შვილით, დედა ელისაბედი, ძმები: კირილე, იესე, პეტრე, ლევან და ერმალოზ, რძლები: ტერეზია, ელენე და ანნა; და ანნა და სიძე ხით ნიკოლაიშვილები.

წირვა და პანაშვიდი მოხდება ბასილეთის წმ. ვასილის ეკლესიაში.

(1—423—1)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების
გამგეობა

აუწყებს ბ-ნ წევრთ:

ამა წლის სამშაბათს, 6 ქრისტეშობისთვეს, საღ. 8 ს., სახოფლო-სამეურნეო ბანკის დარბაზში დანიშნულია

საზოგადო კრება

განსახილველი საგნები:

1) გამგეობის წლიური ანგარიში და მოხსენება.
2) პენსიონერთა საკითხი.
2) გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა.

ახალი კლუბი
მამასახლისთა საბჭო ამით აუწყებს

ბ.ბ. წევრებს და მუდმივ მოსიარულეთ, რომ, თანახმად მე-9 მუხლისა,

უკანასკნელ ვადად ბილეთების განახლებისა 1917 წლისათვის დანიშნულია ოცი ქრისტეშობისთვე.

ვინც აღნიშნულ ვადამდე ბილეთებს არ განაახლებს, კლუბის წევრად აღარ ჩაითვლება მომავალ 1918 წლის 1 იანვრიდგან, მაგრამ 1917 წლის განმავლობაში შეუძლიანთ უკანასკნელად აღადგინონ თავიანთი უფლება, ხოლო წლიურ გადასახადის გარდა 5 მან. ჯარიმაც უნდა გადაიხადონ.

ბილეთების განახლების დროს, თუ ვისზედმე ითვლება ჯარიმა საზოგადოდ კლუბი ან ბიბლიოთეკისა, უნდა უსათუოდ გადაიხადონ.

(1—281—1)

ამიერ კავკასიის
მომხმარებელ საზოგადოებ. კავშირი

ამით აცხადებს, რომ მან შეადგინა

კედლის ქართ. კოოპერატიული კალენდარი 1917 წ.

გამოცემული კოოპერატიულ გამომც. „განახლებისა“. ფასი ერთი მან.

კოოპერატივებს დაეთმობათ 40 კაპეიკად. 2—282—1)



„ფრანციის“ ნომრების ქვეშ, ზუბაბის ქუჩა.

მოწყობილია ევროპიულ პირველ ხარისხოვან რესტორანების მსგავსად. საჭმელები ევროპიულიც არის და ადგილობრივიც. ყოველ დღეა: ხარშო, ლობიო, საცივი, ხაჭაპური, „პიროჟკი“ და სხვა საუზმე. ხადილი და ვახშამი. მიუხედავად სანოვაგის სიძვირისა, „ეკონომიაში“ სადილები ძალიან იაფია. გამოცდილი მზარეული სადილს კარგათ ამზადებს.

სასადილოში არის ნარდი და ბილიარდი

პატივისცემით „კაფე-პარიზის“ წინანდელი მწარმოებელი დიმიტრი უჩ. მიზიხერია და ნ. ბ. ქურთაური

(თ. 258)

ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი, № 163, საზამთრო შენობა)

სამშაბას, 6 ქრისტეშობისთვეს,

სინემატოგრაფი და სიმებიანი ორკესტრი

ბ-ნ ა. სენქევიჩის ლოტბაროპით

სტუმრები საზოგადო წესით. ◆ ◆ დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ ს.

(1—263—1)

ქ. თბილისში დაარსდა
მელნის ქარხანა
„ალაროდია“

ამზადებს საუკეთესო საკანცელარიო მელანს,

ალიზარინის ფერისას

პირველხანად ქარხანა გამყიდის მელანს ორ-ორ გირვანქიან ბოთლებით.

ლაზარეთებს და სამხედრო დაწესებულებათ შეღავათით დაეთმობათ.

მელანი პირის გადასაღებადაც (კოპიროვკა) კარგია.

დაკვეთა დაუყოვნებლივ სრულდება

ადგილობრივ თუ გაგზავნით.

საჭიროა აგენტები, როგორც თბილისში, აგრეთვე სხვა დაბა ქალაქებშიაც.

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა, № 16, „ალაროდია“.

(თ.—228—თ.)

გამოცემა „ამხანაგობისა“

გამოვიდა და იყიდება ყველგან

„ბედი ქართლისა“
ნიკ. ბარათაშვილის
სრული ფაქსიმილე

ფასი ერთი მანეთი.



წიგნი წარმოადგენს სრულს ასლს ნ. ბარათაშვილის ხელნაწერისას (ევზიროვიშვილის ვარიანტი).

ვისაც ფოსტით უნდა გამოწერა, უნდა მიმართოს: Тифлисъ Бол. Ванкская № 12. ივანე მათეს ძეს ნაცვლიშვილს.

გამოვიდა და იყიდება
ქ. შ, წ. კითხვის საზოგად. წიგნის მაღაზიაში
„ბროლეთი“

ახალი წიგნი. ფასი 2 მან. 50 კაპ.

5—267—3) გამოცემა ქ. სიტყვა-კაზმულ მწერ. საზოგადოებისა.

საბურთალოზე
(საგარაშვილის თუ ნვალის აგარაკი)

სამოსახლოების მყიდველთა საყურადღებოთ

ჩვენ დავსტერით და გავჰყიდეთ ადგილები, ძლიერ იაფად საბურთალოზე, რადგანაც ამას გვაიძულებდა გარემოება... მაგრამ მიუხედავად ამისა, ხვედრი ფული მაინც თავ თავის ვადაზე არ შემოდის, ამისათვის ერთხელ და უკანასკნელად კიდევ ვაცხადებთ საყოველთაოთ, ვინც მთელი სამოსახლოს ღირებულობის ათი თვის ხვედრს შემოსატანს ფულს არ წარმოადგენს, ამ 1917 წლის პირველ იანვრამდინ, მათ ადგილის დასაკვეთად შემოტანილი ბეიც აღარ დაუბრუნდებათ და დაკვეთილი სამოსახლო ადგილებიც აუცილებლად ჩამოერთმევათ და სხვა პირებზედ დაიყიდება.

ამასთანავე ვაცხადებთ, ვისაც სამოსახლოების შეძენა სურს საბურთალოზედ, 1917 წლის პირველ იანვრიდან მობრძანდენ იოსებ ნიკოლოზის ძე მერკვილაძესთან (ქვაშვეთის ქუჩა № 5 წიგნის მაღაზია „ცოდნა“ და შეიძინონ დატოვებული ადგილები.

ივანე ზაალის ძე სვანიშვილი, იოსებ ნიკოლოზის ძე მერკვილაძე და ხევსტი მიხეილის ძე გაჩეჩილაძე.

(10—418—2)

ექიმი
ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრიანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ერლიხის „914“ და „606“

შეშხაპუნება

დოქტორი მედიცინისა

მირზა ანტიმოზის ძე

კალანდარიშვილი

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათ ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი

კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

◆ პროვიზორის ატჯლიდიანისა ◆

ექიმი

მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ზილინსკის ქ. № 4.

(თ.—392—)

ვეძიოთ სანოვაგე!

ჭეშმარიტად რომ მწველი და მდაგავი წუთებია! ვინ იცის რა საშინელი სიურპრიზებით აღსავსე წუთები. დამის ძილით გამოღვიძებულს ვერ წარმოგიდგენია დღის დაღამებამდე, თუ რა მოგელის შენა და შენს ქვეყანას. ჩვეულად შენა არსება ტელეგრაფის მავთულებს მიაჩერებია და ელი, უცდი! და ყოველ დღეს მოაქვს ახალ-ახალი ამბავი, რომ დაუნდობელია დრო, მუხანათია ეს წუთისოფელი, რომ მეხთალია ბედი კაცისა! გუშინდელნი გვირგვინოსანნი დღეს უსახლკაროდ დაძრწიან და თავშესაფარს დაეძებენ. რვა მილიონიანი ხალხები თავისუფლებას სამ თვეში ჰკარგავენ, ხოლო დიდის ხნით უფლება-ახდილი ერი თავს იმკობს სამეფო გვირგვინით და იმკობს იმის მეოხებით, ვინც მისი მტერი ყოფილა, მტერი დაუძინებელი და ულმობელი! სივრცე გატენილია მრავალის, უთვალავის შესაძლებლობით; და ყველა ეს უკუნით არის მოსილი; ვერ განგიჭვრეტია ვერც ერთის სახე მკაფიოდ და ნათლად, არ იცი ამ შესაძლებლობითგან, თუ რომელი გეპარება, რომელი გეწვევა, ის, შენთვის რომ სანუკვარია, თუ ის, რომლის მარტო ერთი წარმოდგენაც სხეულს გირღვევს და სიკვდილის საფრთხეს თვალ-წინ გიყენებს! დიადი წუთებია, დი-დი—ხიფათის მხრივ, დი-დი—კარგის მხრივაც. მართალია, საქართველოს არც მეფე დაეკარგება და არც მისი ტახტი, არც ის, რასაც თავისუფლებას ეძახიან, მაგრამ შესაძლებელია ის დაეკარგოს, ურომლისოდ მეფეც და ტახტიც მეწყერსაც წაულია, ურომლისოდაც ქართველთა მიწა-წყალზე თავისუფლება არც იქნება და ნურცა ნუროდეს ყოფილა! ეს არის ქართველი ხალხი... არა ის ქართველობა, ობოლ მარგალიტებად, რუსის ზღვა ჯარში, აქა-იქ რომ ჩაბნეულია და წინაპართა სახელს თვალის მომჭრელ მამაცობით და გულადობით ახალ-ახალ დაფნას რომ მატებს! ეს ქართველობა ნიმუშად დარჩეს იმისა, რომ ერის კეთილშობილება, უაღრესი მამაცობა და თავდადება თვისებაა არა რიცხვისა და სიმრავლისა, არამედ თვისებაა ეროვნულად თანდაყოლილი და ხელშეუქმნელი! ეს ქართველთა ნიმუშად გაღებული მსხვერპლია, რომელმაც თავისებური შედეგი უნდა მოიტანოს და რომელიც აუცილებლად უნდა დაფასდეს. გაწირული მსხვერპლის შინ დაბრუნება სამშობლოსთვის ზედმეტი სიხარულია, მისი უკვალოდ დაკარგვა კი, მხოლოდ წინდაწინვე გამოგლოვილი აუცილებლობა! ჩვენ გვაშინებს და საგონებელში გვაგდებს შინ დარჩენილ ქართველობის ბედი. და გვაშინებს არა ის, რომ ვისიმე ხმალი და ტყვია გაანადგურებს ამ უიარაღო ხალხსა, არამედ ის, ვაი სირცხვილო, რომ ამდენი ქალი და კაცი, და ბავშვი და მოხუცებული, სიმშილის მსხვერპლი გახდება! ვიცით, რომ ქართველ ხალხს პური არ აქვს, ვიცით, რომ დღეს ყოველგან შიმშილობაა, მოგვდის ცნობები საქართველოს სხვა და სხვა კუთხედან, რომ საკვებზედ ფასმა ერთი ხუთად, ერთი შვიდათ იმატა; ვიცით, მაგალითად, რომ ფუთი სიმინდი, ომამდე რომ ათ შაურად ფასობდა, დღეს სამ და ათ შაურად, ოთხ მანეთად იყიდება. ვიცით, რომ ეს მესამე წელიწადია, რაც ჩვენი ხალხი არ გამომძლარა და ნახევრად მშიერი მოჰყვება მზის ყოველ ამოსვლას, რომ ამას შთამომავლობის დაუძლურება და ფიზიკური გადაშენება მოსდევს; ვიცით, რომ ჩვენი საკვების საწყობი დღეს მხოლოდ რუსეთია და ისიც ვიცით, თუ რა ზომ ძნელია იქიდან ამ საკვების ჩამოტანა! ვიცით ყოველივე ეს და ანგარიშს კი არ უწევთ! არ გვინდა წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენს ფრონტზე შესაძლებელია სამხედრო მოქმედების გაძლიერება, რაიცა მთელ რკინის გზას სრულიად სამართლიანად სამხედრო საჭიროებისათვის დაიჭერს და რომ მაშინ ერთ ფუთის ჩამოტანაც არ შეგვეძლება. აბა მაშინ რა ჰქნას ქვეყანამ, რა ჰქნას ხალხმა?

მთავრობის საყვედური არ გვეთქმის, ის დღეს თავის უფრო პირდაპირ დანიშნულებასაც ვერ აუდის; სურსათის და გამოკვების საქმეს ხომ თავი სულ ვერ გაართო, ისე აიწეწ-დაიწეწა ყველაფერი! სხვა და სხვა სამინისტროს ერთმანეთში ჩხუბი მოსდით, არა მე მოვაგვარებ ამ საქმეს, არა მეო და ამ ერთმანეთთან ჩხუბსა და დავიდარაბაში საქმე უფრო და უფრო რთულდება და იხლართება. თუ პროფესორ ტაგანცევს, სახელმწიფო საბჭოს ტრიბუნიდან შეეძლო დაეყვირა: „სამშობლო განსაცდელშიაო“, ჩვენ კიდევ მეტი საბუთი გვაქვს ვიყვიროთ, რომ ჩვენი „სამშობლოც განსაცდელშია“! მაგრამ თუ ტაგანცევის საპასუხოდ, ევგენი ტრუბეცკოის ქვეყნის გასამხნევებლად შეეძლო აპელიაცია მაღალ ინსტანციაში გადაეტანა და ეთქვა იმავ ტრიბუნიდან: „მე ველოდები არა მარტო იმას, რომ მინისტრები, არამედ იმასაც, რომ ეკლესიის მწყემსთმთავარნიც დაარღვევენ სიჩუმეს და რომ ოდესმე მიტროპოლიტები და მეუფენი ლიტანიით მივლენ ხელმწიფე იმპერატორთან და მას შეევედრებიანო“,—ჩვენ ამის თქმაც არ შეგვეძლება, რადგან ჩვენ ღმერთსაც დაშორებული ვართ და მეფესაც, რუსების თქმისა არ იყოს. ამიტომაც, ჩვენ მარტო ჩვენი თავის იმედი უნდა

გვქონდეს. ამ საერთო განსაცდელის დროს ჩვენი ხსნა ჩვენსავე საზოგადოებრივ დისციპლინასა და საქმიანობაში უნდა ვეძებოთ. წინდახედულობა და ყველაფრის წინასწარი მომარაგება ამ უნივერსულ უდეგრობისა და ქვეყნის რღვევის დროს—აი რაზედ უნდა ვფიქრობდეთ დღე და ღამე, აი რისთვის უნდა ვზრუნავდეთ მარადის. რუსეთის მაღალი პოლიტიკის ქმნა და მინისტრების გადაყენება ჩვენი საქმე არც არის და არც გვეკითხება. ეს თავის გზით უჩვენოთაც მიდის, მას თავისი დარაჯებიც ჰყავს, თავისი კანონი განაგებს. ჩვენ გვმართებს ჩვენი თავის შენახვა და გატანა, რამდენადაც ეს ჩვენ ხელთ არის. საქართველოს უზრუნველყოფა სურსათ-სანოვაგით—აი რა უნდა იყოს დღევანდელს პირობებში ჩვენი უმთავრესი საზრუნავი. ეს არც ისე ადვილი საქმეა, თვით რუსეთის სახელმწიფომაც ვერ მოაგვარა იგი.

რა ეს საქმე გაგვიკეთებია და რა დიდი ბრძოლა მოგვივია!

ვემზადოთ ამისთვის!

ს. კედია.

ქართული პრესა

ბ-ნი ივანე გომართელი „თეატრის და ცხოვრების" უკანასკნელ ნომერში არკვევს კლასობრივსა და ეროვნულს, აღნიშნავს, რომ ჩვენი საზოგადოებრივი ჯგუფები საშინაო ბრძოლას თან და თან ღრმავებენ, მაშინ როდესაც საგარეო ბრძოლას სრულიად უყურადღებოდ სტოვებენ. კერძოდ ქართველ დემოკრატიას პატივცემული ავტორი სამართლიანად უსაყვედურებს ეროვნული თვალსაზრისის სრულს უქონლობას. თავის წერილს ავტორი ასე დაასკვნის:

> ეროვნული თვალსაზრისის უქონლობის ბრალია ერთის მხრით ისიც, რომ ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნებაში ქართველი ერის მთლიანობა არ არის დამკვიდრებული.
>
> რაც შინა ვართ ჩვენ, ისა ვართ გარეთაც. შინ ვიბრძვით, ვიყოფით პარტიებათ და ჯგუფებათ. ეს საჭიროა, აუცილებელია, სასარგებლოა.
>
> მაგრამ ეს ბრძოლა და დაყოფა გაგვაქვს გარეთაც. ამიტომ გარეშეც ისე გვიცნობს ჩვენ, როგორც შინაური.
>
> შინ ჩვენ ვართ ფედერალისტი, სოციალ-დემოკრატი, ლიბერალი და სხვ. ეს ასეც უნდა იყოს.
>
> მაგრამ საქმე ის არის, რომ გარეშესთვისაც ჩვენ მხოლოდ სხვა და სხვა პარტიის წევრები ვართ, რომლებსაც ერთმანეთთან საერთო არა გვაქვს რა.
>
> ეს კი ასე არ უნდა იყოს, არა და არა.
>
> გარეშესთვის უპირველესათ ყოვლისა ჩვენ ყველანი უნდა წარმოვადგენდეთ ერთ ქართველ ერს.
>
> შინ ჩვენ შეგვიძლია დავიყოთ სხვა და სხვა პარტიებათ და ჯგუფებათ, რომლებსაც ერთმანეთთან ბრძოლა აქვთ. გარეშესათვის კი უნდა არსებობდეს უპირველესათ მთლიანი ქართველი ერი, რომელიც, როგორც ერთი კაცი, ისე დიდგება ფეხზე საერთო საქმის დასაცავათ.
>
> მაშინ ჩვენ გვექნება ძალა, მეტი პატივისცემა; ჩვენს საერთო ხმას მეტი მნიშვნელობა ექნება და უფრო გაუწევს მას ყველა ანგარიშს.
>
> ჩვენში კი პარტიულმა მთელი გადაყლაპა.
>
> ყველგან ყოველივე პარტიული მთელს ემსახურება. ჩვენში კი პარტიული ყოველისფერზე მაღლა სდგას და მთელი მას ეწირება მსხვერპლათ.
>
> ნუღამც იქნება დღეიდან ასე!

სასურსათო საკითხი

თითქმის ყველა მეომარ სახელმწიფოში უმთავრესი ყურადღება სასურსათო კითხვისათვის იქმნა მიქცეული.

ზურგ-გაუმაგრებელი ჯარი ერთსულოვნად წინ რომ ვერ გაიწევდა, ეს ყველას გათვალისწინებული ჰქონდა და ჩვენი მოკავშირე და მოწინააღმდეგე სახელმწიფონიც თავის დროზედ შეუდგნენ ამ საქმისათვის თადარიგის დაჭერას.

გერმანეთმა, მიუხედავად ბრიტანეთის ფლოტის გარშემორტყმისა, რომელიც სურსათის შემოტანის საშუალებას უსპობდა, ისეთი ორგანიზაცია მოაწყო, რომ მას შეძლება აქვს კიდევ დიდხანს იომოს.

არც ინგლისს, რომელიც შემოტანილ სურსათით სცხოვრობდა, და არც საფრანგეთს ამ საკითხში გაჭირვება არ უგრძვნიათ.

დიდი რუსეთი კი, მარად რომ ქვეყნიერებას კვებავდა, თვით დაიმშა და დღეს აუტანელ გაჭირვებას განიცდის.

ომის დაწყებიდან დღემდე, მხოლოდ იმაზედ იყო ლაპარაკი, რომ ვიდრე სასურსათო საქმე არ მოგვარდება, ვერც ჯარისგან უნდა ველოდეთ გამარჯვებასო. მაგრამ სწორედ ამ ომის დაწყებიდან დღემდე რუსეთის მმართველ წრეებს არავითარი ღონე უღონიათ, რაიმე მთლიანი გეგმა შეემუშავებიათ ამ საქმის მოსაგვარებლად.

მინისტრთა ხშირ გადაყენება-დაყენებაში და საერთო ცხოვრების არევდარევაში ამ საქმის საჭე ერთი კაცის ხელითგან მეორისაში გადადიოდა და ყოველი მათგანი თავისებურად სწყვეტდა ამ საკითხს. რუსეთის იმპერია მოიფინა კიდით-კიდე ყოვლსავე პასუხისგებას გარეშე მყოფ, რწმუნებულთა მთელის რიგით, რომელნიც ყოველსავე თავისებურად სჭრიდნენ და ჰკერავდნენ, და ულონო მცხოვრები კი იძულებული იყო ხმა-ამოუღებლივ გადაეტანა ყოველივე გაჭირვება. საკმაო იყო, რომ რომელსამე მინისტრს ფეხა გამოეჩინა და წესიერად ხელი მოეკიდნა სასურსათო საქმისთვის, რომ მოულოდნელად თავისი ადგილი სხვისათვის უნდა დაეთმო, როგორც ეს, ბობრინსკის მოადგილეს, ნაუმოვს, დაემართა.

და საერთო შედეგად ყველა ამას მოჰყვა ის, რომ პურისა, შაქრისა და ნავთის ქვეყანა უპუროდ, უშაქროდ და უნავთოდ დარჩა. ომის დაწყებიდან $2^{1}/_{2}$ წლის განმავლობაში სახელმწიფო სათათბირომ მხოლოდ ეხლა წამოაყენა ეს საკითხი მთელის მისის სიგრძე-სიგანით.

სხვა სახელმწიფოებში, ესეთ საკითხებში რაიმე ცვლილებათა შეტანაც კი საკანონმდებლო დაწესებულებათა აუცილებელ განხილვის საგანს წარმოადგენს, ხოლო რუსეთში არც მთავრობასა და არც საბჭო-სათათბიროს მისი განხილვა თავს არ უდვია იმ დრომდე, ვიდრე სასურსათო საქმეზედ არ იქმნა დამყარებული სახელმწიფოს არსებობის საკითხიცა.

ახალ მთავრობის მიერ გამოთქმულ სურვილის მიხედვით, სათათბირო საქმიან მუშაობის კალაპოტში ჩადგა და მუშაობის წესრიგში პირველი ადგილი ამ საკითხის განხილვას მიაკუთვნა. სამ სხდომის განმავლობაში, რომლებზედაც ეს საკითხი ირკვეოდა, მთავრობის წარმომადგენელთა სკამები დაცარიელებული იყო, რაც მოლაპარაკეთ აშკარა პასუხს აძლევდა იმისას, რომ მათმა დაგვიანებულმა ცდამ ფუჭად უნდა ჩაიაროსო.

რამდენისამე წუთით შემოსწრებულმა მინისტრმა განაცხადა, რომ მან ჯერ ამ საქმეში არაფერი იცის და მისგან რაიმე პასუხის მიღებაც ჯერ-ჯერობით ნაადრევიაო.

მაგრამ მიუხედავად ამისა, მინისტრი მაინც არ დარჩა, რომ გაეგონა რაიმე იმათგან, ვინც ხალხის მოთხოვნილებათა აღმსარებელნი არიან.

სამიწადმოქმედო ახალი მინისტრი საქმის შესწავლას შეუდგა და სჩანს, უკვე შეისწავლა იგი, რადგან ახალი პროექტი დაუმზადებია საპურო ბეგრის შემოღების შესახებ, რომელმაც კიდევ უფრო დიდ გასაჭირში უნდა ჩააგდოს განსაკუთრებით სოფლის მეურნენი.

დაგვიანებით შემოღებულ მტკიცე ფასების სიმძიმე, განსაკუთრებით მათ იგრძნეს, რადგან პური, უმთავრესი საგანი მათის წარმოებისა, იძულებულნი იყვნენ გაეყიდნათ დაწესებულ ფასებში, ხოლო მათვის საჭირო სხვა საქონელი, არეულ პირობებში შეეძინათ. ყოველ საქონელზედ მტკიცე ფასების დაწესებას დიდი შეღავათი შეეძლო მოეტანა. მაგრამ მტკიცე ფასებისათვის მარტო პურის გამორჩევამ საქმე უფრო გაართულა და ეს საპურო ბეგარა ხომ გამეორება იქნება იმ უბედურებისა, რომელიც საქონლის ბეგარამ ხალხს თავს დაატეხა.

დღევანდელს მდგომარეობაში, როდესაც სრულებით გამორკვეული არ არის მოყვანილ პურის რაოდენობა და მწარმოებელთა შესახებ სწორი სტატისტიკური გამოკვლევანი არ არსებობენ, უნდა გაბატონდეს ისევ რწმუნებულთა და სხვა მართველთა ნება ამა თუ იმ პირისაგან პურის წართმევის საქმეში.

რასაკვირველია, ესეთი საშუალება საჭიროებათა დაკმაყოფილებისა ყოვლად მისაღები და სასურველიც იქნებოდა, თუ მოეწყობოდა წესიერი ორგანიზაცია, რომელიც ყველას შორის თანაბრად გაანაწილებდა წარმოსადგენ საქონლის რაოდენობას, მაგრამ არსებულ არეულ მდგომარეობაში, ასეთმა ზომამ საქმე უაღრესად უნდა აწეწოს. სამიწადმოქმედო სამინისტროს დღევანდელი გამგე ისევ თავის წინამოადგილეთა გზით მიდის. უდღეურ მინისტრებს დასჩემდათ ჩვეულება, რომ თავის ხანმოკლე სამინისტრო ცხოვრებაში, რაც შეიძლება, მეტი ახალი სიტყვები სთქვან და ეს სიტყვები მიზან-შეუწონლათ საქმედ აქციონ, რათა მოასწრონ საქმიან მინისტრის სახელის დამსახურება.

ლ. ჯ—ძე.

ომის ამბები

ბრძოლის ველზე

საზოგადოთ სატახტო გაზეთების სამხედრო მიმომხილველთ ერთი უცნაური ზნე სჭირთ. ყოველსავე მოვლენას, სულ მცირე ეპიზოდს, ბრძოლის ველზე უკანასკნელი ბრძოლის პირობების მიხედვით არასოდეს ითვალისწინებენ; ერთ-ორის გამოკლებით, ყველა მათგანი გულწრფელ ობიექტიობას მოკლებულია და თავის მიმოხილვას იშვიათ ოპტიმიზმზედ აშენებენ. ამიტომაც არის, რომ ძალიან ხშირად ისინი უხერხულ მდგომარეობაში ვარდებიან და მომავალში მათს სიტყვას და ავტორიტეტულ აზრს არავითარი ღირსება აქვს. ამის საბუთები ჩვენ ძალიან ბევრი გვაქვს. ყველამ იცის, რომ სატახტო გაზეთები ადგილობრივ ოთხის დღის შემდეგ მოდის. მაშასადამე, ყოველთვის ჩვენ ოთხი დღით ადრე ვიგებთ, თუ რა მოხდა ბრძოლის ველზე, ასე რომ, სატახტო გაზეთების მიმოხილვას დაგვიანებით ვკითხულობთ.

28 გიორგობისთვის ოფიციალმა დეპეშამ შემდეგი ამბავი გადმოგვცა: „რუმინელებმა ბუზეო-პლოეშტის შარაგზაზე მოპირდაპირეს უკან დაახევინეს და მდ. გრიკოვულის მეორე ნაპირზე გადარეკესო". ადგილობრივ გაზეთების სამხედრო მიმომხილველებმა ადგილობრივ ხასიათის ბრძოლად სცნეს ეს მოვლენა და ჭეშმარიტად აღიარეს, რომ რუმინელთა იერიშები ვერავითარ გავლენას ვერ იქონიებდა საზოგადო ოპერაციის მსვლელობაზე. სატახტო გაზეთების მიმომხილველებმა კი სულ სხვანაირად მიიღეს ეს ცნობა. მაგ. „რუსკი ინვალიდის" თანამშრომელ კლერჟის აზრით, ეს მოვლენა იმას ამტკიცებს, რომ ბუზეოს მიმართულებით მოპირდაპირის წინსვლა ვერ განვითარდა და ქ. ბუზეოსკენ რუმინელებმა ისინი აღარ გაუშვეს. „ახლა,—ამბობს ბ. კლერჟე,—რუმინელნი ქ. ბუზეოდან ოთხის დღის სავლელ მანძილზე სდგანანო. მაშასადამე, მოპირდაპირემ ქ. პლოეშტის აღების შემდეგ სულ მცირე მანძილი გაიარა ბუზეოს მიმართულებით. აქედან ერთია ცხადი: მოკავშირეებმა მარდად მოასწრეს ზომების მიღება და შესძლეს ამ მიდამოებში აქტიურ ოპერაციის დაწყება". ჩვენ ეხლა უკვე ვიცით, რომ ბ. კლერჟეს მოსაზრება თავით ბოლომდე ყალბი გამოდგა. რუმინელთ არა თუ აქტიური ოპერაცია არ დაუწყვიათ, ქ. ბუზეო დასტოვეს და მთელი ჯარი მდ. იალომიციდან აღმოსავლეთისაკენ გადაიყვანეს. ეს მოხდა სულ ორ-სამ დღეში. მაშასადამე, რუმინეთის შტაბს, უეჭველია, ადრევე ჰქონია გადაწყვეტილი ფართო და გადამწყვეტ ოპერაციაში არ ჩაბმულიყო და დაეტოვებინა ეს საყურადღებო ქალაქი, თუ კი სტრატეგიული მდგომარეობა მომავალში ამას მოითხოვდა! გადამწყვეტ ოპერაციის დაწყებას აგრე მალე რუმინელნი არასოდეს არ დაიწყებენ. ყოვლად შეუძლებელია მათ არ ესმოდესთ, რომ ამისათვის საჭიროა როგორც დრო, აგრეთვე განსაკუთრებული ხელსაყრელი პირობები. ბუზეო-იალომიცას ხაზი არავითარ გარანტიას არ აძლევდა რუმინელთ ბრძოლის მოგებაში. თვით მდინარეს ვერ გამოიყენებდნენ ვერც საოპერაციო ბაზად და ვერც მარჯვე საფარად, რადგან ველად მიდის და წყალნაკლებიცაა. თუ მაინც და მაინც ალაგ-ალაგ ჩერდებიან რუმინელნი და ბრძოლას იწყებენ, ეს მხოლოდ ერთის განზრახვით: რაც კი შეიძლება, მეტი ზარალი მისცეს მოპირდაპირეს და მასთანვე იმდენად შეაკავონ მტერი, რომ საშუალება მისცეს თავის ჯარს მწყობრად დაახევინოს უკან.

არა-ერთხელ გამოგვითქვამს ის აზრი, რომ ბუზეოს აღებას უსათუოდ მოლდავეთის ბრძოლის ველის ახმაურება უნდა მოჰყვესო. მასთანვე, განსაკუთრებულ ყურადღებას ყოველთვის მდ. ოიტუზს ვაქცევდით ხოლმე, მაშინაც კი, როდესაც არც ერთი სამხედრო მიმომხილველი ამ ჩვენს აზრს არ იზიარებდა. კვირა დღეს მოსული ოფიციალი დეპეშა სავსებით ამართლებს ჩვენს მოფიქრებას. ქ. ბუზეოს აღებას შემდეგ მოპირდაპირეს მოლდავეთის ბრძოლის ასპარეზზე მდ. ოიტუზით განუახლებიათ იერიშები. ადვილი მისახვედრია, თუ რატომ იწყებს ახლა მოპირდაპირე ამ მდინარით შეტევას. ქ. ბუზეოს აღების შემდეგ რუმინეთის ჯარი იძულებულია გაჩერდეს გალაც-სერეტის ხაზზე. მაშინ ბრძოლის ხაზი რუმინეთისა დაიწყება დორნა-ვარტიდან, წამოვა სამხრეთ კარპატებით და მდინარე სერეტით დუნაიზე გადავა. თუ მოპირდაპირე შესძლებს ოიტუზით წამოსვლას, მაშინ იგი უპირველესად ფოქშნის ველის საკითხს გადასწყვეტს, შემდეგ კი მდ. სერეტის გადალახვას განიზრახავს.

დეპეშათა ცნობით, მოკავშირეთა წარმომადგენელთ საბერძნეთის მთავრობისათვის ულტიმატუმი წარუდგენიათ. მოკავშირენი მოითხოვენ, რომ საბერძნეთმა თავისი ჯარები ჯერ თესალონიაში გადაიყვანოს, შემდეგ კი პელოპონესში. ვადად მიცემული აქვთ 24 საათი. თუ საბერძნეთი მათს მოთხოვნილებებს არ დააკმაყოფილებს, ომი აუცილებელია. რა გზას დაადგება საბერძნეთი, ამას მალე შევიტყობთ. უფრო მოსალოდნელია, მოკავშირეებს უარი უთხრან, და მაშინ საბერძნეთიც ცენტრალ სახელმწიფოებს ამოუდგება გვერდში გენ. სარაილის წინააღდეგ.

X.

ომის დეპეშები

4 ქრისტეშობისთვე

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. სოფ. კონიუხის აღმოსავლეთით მტრის მიერ დაპყრობილ ჩვენი სანგრების დასაბრუნებლად ბრძოლა საღამოს შვიდ საათამდე გაგრძელდა. ეს თხრილები ოთხჯერ გადავიდა ხელიდან ხელში და ბოლოს მისი სამხრეთის ნაწილი მაინც გერმანელებს შერჩათ ხელში. იეზუპოლის მიდამოებში მოპირდაპირის პატარ-პატარა რაზმები სცდილობდნენ ჩვენს სანგრებთან მოახლოვებას, მაგრამ სროლით თხრილებშივე მივაბრუნეთ. ტყიან კარპატებში მტრის ძლიერი მოწინავე მზვერავი რაზმები რაფაილოვის მიდამოებში ჩვენს თხრილებს მოუახლოვდნენ, მაგრამ სროლით გავფანტეთ. ჩვენი მზვერავები მტერს გამოეკიდნენ. კავკასიის ასპარეზზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

რუმინეთის ასპარეზი. მოლდავიის საზღვრებზე მდ. ოიტუზის ველში მტრის შემოტევა მოვიგერიეთ.

შავი ზღვა. იმ წისქვილების დასანგრევად, რომლებიც ბულგარეთის ჯარს ფქვილს აწვდის, 30 გიორგობისთვეს ჩვენმა გემებმა მარჯვედ დაუშინეს ბალჩიკის ნავთსადგურს. მოპირდაპირე სანაპიროებიდან ზარბაზნებით გვიპასუხებდა, თან მტრის ჰიდროაეროპლანებმა და წყალქვეშამაც მოიტანეს იერიში.

ათინა. მოკავშირე სახელმწიფოთა დესპანებმა საბერძნეთის მთავრობას ულტიმატუმი წარუდგინეს. ამ ნოტაზე 24 საათში მოითხოვეს პასუხი. საბერძნეთს მოსთხოვეს, რომ თავისი ჯარი თესალონიაში გადაიყვანოს, ხოლო შემდეგ კი პელოპონესში. მეორე ნოტაში მოკავშირენი პასუხს მოსთხოვენ 18 გიორგობისთვეს მომხდარ სროლის გამო.

საბერძნეთის მთავრობას, მეფე კონსტანტინეს თავმჯდომარეობით, სასახლეში თათბირი ჰქონდა მოკავშირეთა მოთხოვნილების განსახილველად.

ლონდონი. რეიტერის სააგენტო იტყობინება: ათინიდან მიღებული ცნობების თანახმად, საბერძნეთის მთავრობა არსებითად თანახმაა მოკავშირეთა მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოს.

რომი. სტეფანის სააგენტო იტყობინება: საბერძნეთის მთავრობა მზადაა მოკავშირეთა მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოს.

ლონდონი. თემთა პალატა. ბონარლოუმ განაცხადა: 1916—1917 წლის ხარჯი 1,950 მილიონ სტერლინგს უდრის, ყოველ დღიურად კი 5,710,000 გირვანქა სტერლინგია ნავარაუდევი. ომის დაწყებიდან ინგლისს დაუხარჯია 3352 მილიონი გირვანქა სტერლინგი.

პარიზი. „ჟურნალ"-ში მოთავსებულია მილიუკოვის წერილები, სადაც იგი ამტკიცებს, რომ რუსეთის ეროვნული და ტერიტორიალური სხეული მხოლოდ მაშინ იქმნება სრული, როდესაც სრუტეები რუსეთის განუყოფელ ნაწილა გადაიქცევაო.

სოლუნი. ხალვიდიდან ფრანგების გემით სერბეთის მეფე პეტრე სოლუნში მივიდა თავისი ამალის თანხლებით და ბატონიშვილ ალექსანდრეს სასახლეში ჩამოხდა.

სტოკჰოლმი. ვილნოდან იტყობინებიან: გერმანელთა მეათე ლაშქრის სარდალმა ვილნოს ოლქის ქალაქებს 1 მილიონი მანათი შეაწერა, მოსახლეობის უზრუნველსაყოფად სურსათით. ამ ხარჯს გერმანელი ქალაქის უფროსი გააწერს.

ქრისტიანია. აქ მოვიდა ნორვეგიის გემი „როზი". მისი უფროსის სიტყვით, გერმანელთა წყალქვეშამ შვეციის გემი დაუტყვევებია და სამხრეთისაკენ წაუყვანია.

რიგა. იურიევის უნივერსიტეტში ღვთისმეტყველების პროფესორებმა უარი განაცხადეს რუსულ ენაზე ლექციების კითხვაზე. მთავრობამ პროფესორები დაითხოვა და ახლები მოიწვია.

პარიზი. დღის ოფიციალი ცნობა. დოირანის ტბის მიდამოებში მეტად ძლიერი სროლაა ზარბაზნებისა. მონასტირის ჩრდილოეთით მოპირდაპირის რაზმი სროლით გავფანტეთ. მტრის მფრინავებმა მოქმედება გააცხოველეს: ერთი საფრენი ჩამოვაგდეთ პეტრინის სამხრეთ მიდამოებში.

პარიზი. დეპუტატთა პალატა. ბრიანმა მოითხოვა მორიგ საკითხებზე გადასვლა როდანის ფორმულით. პალატამ როდანის ფორმულა მიიღო 314 ხმით 165 წინააღმდეგ. ამ სახით პალატამ მთავრობას ნდობა გამოუცხადა.

ქრისტიანია. ბერგენიდან ნიუკესტლისაკენ მიმავალი სახალხო-საფოსტო გემი დაიღუპა. დაღუპეს საბარგო გემი „ბიეან", 700 ათას კრონად დაზღვეული.

სტოკჰოლმი. შვეციის რიკსტაგის საიდუმლო კომიტეტის სხდომები დაიწყო.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ამერიკა გერმანეთს.

ამერიკული ჟურნალი „American Marine Engineer"-ი სწერს: ფორ-რივერში არსებული ქარხანა „ელექტრიკ ბოატ კომპანი" გერმანეთისა, ავსტრიისა და მათ მოკავშირეთათვის სავაჭრო წყალქვეშა ნავებს ამზადებს. ეს ნავები ორნაირი იქნება: დიდი ნავი 31 ათას ფუთს დაიდებს, პატარა 12 ათას 400 ფუთს. „რ. ინ."-ი ამ ამბის გამო დიდს გულისწყრომას უცხადებს შეერთებულ შტატებს, რომ იგი—ნეიტრალი სახელმწიფო—გერმანელებს ეხმარება იმ დარგის გაძლიერებაში, რომლითაც გერმანეთი საგონებელში აგდებს თვითონ შეერთებულ შტატებსაც.

ომი თუ ზავი.

„United Press of America"-ს თავმჯდომარეს გოურდს შემოუვლია ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია. მისის აზრით, იქ არაფერზე არ ეტყობა, რომ ომის დასასრული მოახლოვებულიყოს.

მოპირდაპირეთა ჯარი.

„უტ. როსიის" სამხედრო მიმომხილველ ბურსკის ვარაუდით გერმანელებს ეხლა ჰყავთ 320 დივიზია. მხოლოდ ქვეითა ჯარი რომ ვიანგარიშოთ 4 მილიონამდე იქნება. ამას უნდა დაუმატოთ ცხენოსანი ჯარი, არტილერია, საპიორები და სხვ. ავსტრია-უნგრეთს ჰყოლია 80 ქვეითა დივიზია, ოსმალებს 50, ბულგარეთს 15. სულ ჰყოლიათ 465 ქვეითა ჯარის დივიზია.

რუმინეთი

ბრძოლის ხაზი.

ბუქარესტის აღმოსავლეთით უკან დახეულ რუმინეთის ჯარს, რომელიც ორ მიმართულებით მიეშურება გალიციისა და გირსოვოსაკენ, ჯერ-ჯერობით 70 ვერსი უკვე გაუვლია. ბუქარესტიდან გალაცამდე 150 ვერსია, ხოლო ბუქარესტიდან გირსოვომდე 125 ვერსი.

გადამწყვეტი ბრძოლა.

შუმსკის და დიმიტრიევის აზრით გადამწყვეტი ბრძოლა რუმინეთის ასპარეზზე მოხდება გალაც-ფოქშანის ხაზზე.

რუმინეთის იმედიანობა.

იასაში არსებული რუმინული გაზეთი „ოპინია" სწერს: არ მოიპოვება არც ერთი რუმინელი, რომელმაც არ განაცხადოს: ჩვენ დიდიან პატარამდე პირნათლად აღვასრულეთ ჩვენი მოვალეობა, მაგრამ უნდა გამოვტყდეთ, რომ ბრძოლა ჩვენს ძალ-ღონეს აღემატება. ჩვენ განვიცდით უსაშინელეს ხანას ჩვენს პირად და სახელმწიფოებრივ ცხოვრებისას. მაგრამ მაინც გვრწამს ჩვენი მომავალი.

საბერძნეთი.

ათინის ბედი.

გერმანელების ოფიციოზი გაზეთი „ფოსიშე ცაიტუნგი" სწერს: მას მერე, რაც მოკავშირეებმა საბერძნეთის სანაპიროებს ალყა შემოარტყეს, მეტად მწვავე მდგომარეობაში ჩავარდა მეფე კონსტანტინე და ათინის ბედიც ბეწვზე ჰკიდია. ამისათვის საჭიროა სწრაფი და ენერგიულ ზომების მიღება უბედურების თავიდან ასაცილებლადაო.

ამავე საგანს გაზ. „ტაგესცაიტუნგ"-ში ეხება რევენტლოვი და სწერს: საბერძნეთის ბედი სასწორზე დაიდო. მას შემდეგ, რაც მოკავშირეებმა მისი სანაპიროები გარშემოარტყეს, მეფე კონსტანტინე უნდა მიემხროს ან ერთს ან მეორე მხარეს. საქმე ისაა, მეფე კონსტანტინე შესძლებს თუ არა მოკავშირეებს გაუძლოს სანამ ჩვენ მივეშველებოდეთ.

ჯარის გადაყვანა

„რ. ი."-ის სამხედრო მიმომხილველ. ბ. კლერჟე სწერს: ბუქარესტის დახობის და მაკენზენ-ფალკენჰაინის გაერთიანების შემდეგ, მოპირდაპირე მდ. დუნაიზე მარჯვე ადგილებში ნავტიკების ხიდებს აგებს. ასეთი ხიდის მზადებას შეუდგნენ თურთუკასა და ტურ-სევერინთან. ამ გზით მოპირდაპირეს განზრახვა აქვს რუმინეთიდან ჯარი გადაიყვანოს სალონიკისა და მონასტირისაკენ. კლერჟეს აზრით, ჯარის გადაყვანა ძალიან მალე დაიწყება.

უკანასკნელი ცნობები

უმაღლესი ბრძანებით სახელმწიფოს კონტროლიორი პოკროვსკი გარეშე საქმეთა მინისტრად დაინიშნა, ხოლო ფინანსთა მინისტრის ამხანაგი ფეოდოსიევი სახელმწიფოს კონტროლიორად.

სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტის დირექტორი ზუბოვსკი უმაღლესი ბრძანებით მიწადმოქმედების მინისტრის ამხანაგად დაინიშნა.

ზოგიერთმა გაზეთებმა ბუქარესტიდან რედაქციები იასში გადმოიტანეს. ამ დღეებში გამოვა გაზ. „ჟურნალ-დე-ბალკან".

სომხურ გაზეთ „ორიზონს" ოდესიდან ატყობინებენ: რუმინეთიდან გამოქცეულნი და ოდესაში შეხიზნულნი სომეხნი ერთხმად გაიძახიან, რომ დობრუჯაში ბულგარ-ოსმალთ ჯარებს ამოუხოცნიათ სომხობა მეჯიდიეს, მარგელიისა, ჩერნოვოდისა და ტურტუკაისა. ძალიან ცოტას დაუღწევია თავი სიკვდილისათვის.

ახალი ამბავი

ქართული დაწესებულებანი.

◆ **დრამატიული საზოგადოება.** მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ ქართულ დრამატიულ საზოგადოების წლიური კრება დანიშნულია დღეს, 6 ქრისტეშობისთვეს, საღამოს 7 საათზე, სასოფლო სამეურნეო ბანკის დარბაზში.

◆ **დღეს**, 6 დეკემბერს, ახალ კლუბის დარბაზში თბ. ქართულ ფილარმონიულ საზოგ. სკოლა მართავს პირველ საჯარო სამუსიკო დილას, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ სკოლის მოსწავლენი. დასაწყისი დილის 12 საათზედ.

◆ **ქართული თეატრის** აღსადგენად „ახალ კლუბში" შეგროვდა: 1915 წელს 9.204 მან. 70 კაპ., 1916 წელს—14.409 მან. 88 კაპ., სულ 23.614 მან. 58 კაპ.

◆ **მიმართვა ქ. საქვ. საზოგადოებისა.** ქარ. საქვ. საზ. მთავარ გამგეობამ ყველა ფილიალ განყოფილებებს სთხოვა მიაწოდონ მას რაც შეიძლება მეტი დაწვრილებითი ცნობები ომისაგან დაზარალებულთა შესახებ.

◆ **ბათომის რაიონ. განყ. გამგეობას** ქ. საქვ. საზ. გამგეობის თავმჯდომარემ მ. გ. მაჩაბელმა დეპეშით მოსთხოვა ცნობები ბათომის თავშესაფარში თავშეფარებულ ბავშვთა რიცხვისა ჩამომავლობის მიხედვით.

მთავრობის დაწესებულებანი.

◆ **ერობის საკითხი.** მეფის ნაცვლის საბჭომ თვის უკანასკნელ კრებაზე განიხილა დამატებანი ერობის შემოღების კანონპროექტისა. საგზაო თანხის წესდების განხილვის დროს საბჭომ ის აზრი გამოსთქვა, რომ კავკასიის ერობანი თავისუფალ არიან საერობო დარაჯთა შესანახ თანხის გადადებისაგან იმ პირობით კი, რომ ეს თანხა იმ ზომით, რაც პოლიციის შესანახად იყო გადადებული, გადებულ იქმნას სპეციალ საგზაო თანხის შესადგენათ. ეს თანხები თვითეულ გუბერნიებს დაურიგდება ცალკე. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ დაღესტნის ოლქი, რომელიც 200,000 მანეთით მეტს მიიღებს ამ თანხაზე. შემდეგ საბჭო შეეხო იმასა, რომ მიხეილის საავადმყოფო საგუბერნიო ერობას უნდა გადაეცეს სრულ საკუთრებადო. საბჭო დაეთანხმა ამ გადაწყვეტილებას იმ პირობით კი, რომ საავადმყოფოში შეინახოს არა ნაკლებ 200 საწოლისა. უკანასკნელი კრება მოხდება მეფის ნაცვლის თავმჯდომარეობით; კრებაზე მიწვეულ არიან თ-დი დ. ე. ჩოლოყაშვილი და ა. ი. ხატისოვი.

◆ **მაზუთის უქონლობის გამო** 2 3 ქრისტეშობისთვეს მრავალი საქალაქო და კერძო დაწესებულებანი, აგრეთვე ქალაქის სათავადმყოფოები, უსინათლოდ დარჩნენ.

◆ **საოლქო სასამართლოს სესია გაემგზავრა ახალციხეს.** საქმეთა განხილვა 11 ქრისტეშობისთვემდის გასტანს.

◆ **ყრილობა.** 9 ქრისტეშობისთვეს მოსკოვში დანიშნულია ყრილობა ქალაქის კავშირთა წარმომადგენლებისა. კავკ. ქალაქთა კავშირის წარმომადგენლად ყრილობაზე მიემგზავრება ა. ი. ხატისოვი.

სხვა და სხვა ამბები.

◆ **სამხედრო შეღავათი.** ქალაქის კომიტეტის მიერ მიცემულ სამხედრო შეღავათის ვადა გაუდის მიმდინარე ქრისტეშობისთვის დამლევს. ვისაც შეღავათის განახლება სურს, ხელ-ახალი შუამდგომლობით უნდა მიმართოს ქალაქის კომიტეტს 20 ქრისტეშობისთვემდის. შეღავათის მთხოვნელთა სია საგანგებო, უკვე ცნობილ ბლანკზე უნდა დაიწეროს. სხვა და სხვა მუშა-მოხელეთა სია სხვა და სხვა ბლანკზე უნდა დაიწეროს. სიაში აღნიშნული უნდა იქმნეს, რომ მთხოვნელი სარგებლობდა კომიტეტისაგან მიცემულ შეღავათით.

◆ **დედის მკვლელი.** ვერის დაღმართზე მცხოვრებმა ფ. ა. შუშენინამ, 33 წლისამ, თავისი დედა მარიამი, 68 წლისა, ფანჯრიდან ქუჩაზე გადმოაგდო. საბრალო ადამიანმა იქვე სული დალია. გვამი საანატომიო თეატრში გაგზავნეს.

◆ **ეტლის მსხვერპლი.** ვორონცოვის ქუჩაზე აქც. ამხ. ადელხანოვის ეტლი წამოეწია რაჭის მაზრის მცხოვრებ თ. სტ. გოგიძეს და სასიკვდილოდ დაამშავა. გონ დაკარგული გოგიძე მიხეილის სახელობის საავადმყოფოში გაგზავნეს, სადაც მალე სული განუტევა.

◆ **ქართველ მეფეების სასახლე.** ექსარხოსის მოედანზე, უწინდელ სალაყბოზე, მოთავსებულია ყოფილი სასახლე ქართველ მეფეთა. იქვეა კარის ეკლესია წმ. გიორგის სახელობაზე. ეს შენობა ამ ჟამად სადავოდ გამხდარია. ედავებიან ერთი-მეორეს ორი პატრონი: ილ. მ. გედევანიშვილი და უკვე გარდაცვლილ ხუროთმოძღვარ სალამბეგოვის მემკვიდრენი. საქმე საოლქო სასამართლოში სწარმოებს. ამ ჟამად საქართველოს ექსარხოსს მ. ყ. უ. პლატონს ყურადღება მიუქცევია ამ შენობისათვის და ამ ორ მოდავეთაგან, ვისაც კი ეს შენობა დარჩება, სურს შეიძინოს ეს სასახლე, სადაც უნდა იცხოვრონ საქართველოს საექსარხოსო ქორეპისკოპოსებმა. სასახლე გარედან არის შეკეთებული, შიგნითა სახე ძველებური შერჩენია, მეტადრე ხელუხლებელია ის ოთახი, საიდანაც მარიამ დედოფალი წაიყვანეს რუსეთს.

◆ **ნ. ბარათაშვილის დილა 1 სავაჟო გიმნაზიაში.** კვირას 4 ქრისტეშობისთვეს ფრიად საგულისხმიერო პროგრამით გაიმართა დილა ნ. ბარათაშვილის დაბადებიდან 100 წლის შესრულების აღსანიშნავად.

◆ **მოძრავი ბიბლიოთეკა.** სახალხო მასწავლებელთა საზოგადოების გამგეობისა და სექციების შეერთებულმა კრებამ დაადგინა დაარსოს გამგეობასთან მოძრავი ბიბლიოთეკა მასწავლებელთათვის. თუ რა წესით უნდა ისარგებლონ წევრებმა ამ ბიბლიოთეკით, ამის შესახებ ინსტრუქციის შემუშავება დაევალა გამგეობას.

◆ **ტეხნიკური საზოგადოება.** 3 ამა თვეს მოხდა რუსეთის ტეხნიკურ საზოგადოების თბილისის განყოფილების წევრთა კრება, რომელმაც დაადგინა: 1) მომავალ წელში შეისწავლონ ამიერ-კავკასიის ბუნებრივი სიმდიდრე, 2) მიიღონ ღონისძიება, რომ რკინის გზები და დიდი ქარხნები ელექტრონის საშუალებით მუშაობდნენ და 3) ზოგიერთ თვალსაჩინო თემების შემმუშავებელთ პრემია მიეცესთ. ბოლოს მოხდა არჩევნები: განყოფილების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ინჟინერი ზავალიშინი, იმის ამხანაგად ბ-ნი კოგნოვიცკი და მდივნად ბ-ნი ბუდაევსკი.

თელავი.

ქ. თელავში სცხოვრობდა ერთი ახალგაზრდა ქვრივი (მედავითნისა) მარიამ მაჭავარიანისა. შინ ალუბლით შეზავებული არაყი ჰქონია. გუშინდელით ჩაის შემდეგ დაულევია თვითონ და დაულევინებია მასთან სტუმრად მისულ პეტრიაშვილისას და მის დედისათვის. დიასახლისი მაჭავარიანისა მაშინვე გარდაიცვალა, ხოლო უკანასკნელნი ცუდს მდგომარეობაში არიან, თუმცა გამოსწორება ეტყობათ.

— ს. ყარღიშუბანს და თელავის ნაწილს ამ ბოლოდროს ომიდან გამოქცეულ ჯარის კაცთა შემდგარი ბრბო ძალიან აწუხებს. თავსდასხმა, ძარცვა-გლეჯა, ქალების გაუპატიურება და სხვა ამბები ბევრი ხდება. სხვათაშორის რომან ბაქრაძეს ყარღიშუბანში მიუცვივდნენ ერთ ღამეს და ფულს სთხოვდნენ. კარებს დაუწყეს მტვრევა და ერთი ყაჩაღი შიგ გადასვლას ლამობდა. სახლის პატრონმა რომანმა წალდით შეუჭრა ხელი და გამოსტაცა გადაწვდილი თოფი. მერე ესროლა შინიდგან და სასიკვდილოდ დასჭრა გ. ლეჟავშვილი (აჭარიელი), ხოლო დანარჩენნი გაიქცნენ.

დრამატიულ საზოგადოების კრება

დღეს, საღამოს 8 საათზე, დანიშნულია დრამატიულ საზოგადოების მორიგი კრება. უკანასკნელმა, სარევიზიო მოხსენების შემდეგ, გამგეობის ახალი წევრნი უნდა აირჩიოს.

ხსენებულ საზოგადოებას დიდი და საპასუხ-მგებლო მისია აქვს ნაკისრი ქართველ ხალხის წინაშე. ეროვნულ თეატრის შექმნა, ამ დიდებულ კულტურის ხელმძღვანელობა უნდა ზნეობრივ ტვირთად ედოს ყოველივე წევრს და გრძნობდეს მას მთელი თავისის არსებით და სინდისით. ქართველებს არ აქვთ თეატრი, ქართველებს თავიანთ დედაქალაქში უნდა ჰქონდეს თეატრი. ქართული ხელოვნება კვდება, მისი მდგომარეობა საშინელია, უმწეო. საზოგადოებამ უნდა იხსნას თავისი ხელოვნება ამ განსაცდელისაგან. ამას მოითხოვს ერის ინტერესები, ერის არსებობა. ვინც ამას არა გრძნობს და არ იზიარებს, ის არაა ქართველი. ვისაც შეუძლია გულგრილად უმზიროს დღევანდელ ქართულ თეატრის სავალალო მდგომარეობას, მასში არ ღუის ქართველის სული. მოვუწოდებთ საზოგადოების წევრებს, დაესწრონ დღევანდელ კრებას და პასუხი გასცენ თეატრის შესახებ ყოველ პირადულ ანგარიშების გარეშე წამოყენებულ საკითხებს.

თეატრის საკითხი უპირველესად ეროვნული საკითხია. არასოდეს ადგილი არ უნდა ჰქონდეს პირადობას, ჟინიანობას. ასეთ დიდ და საპასუხ-მგებლო საკითხის გადაწყვეტის დროს. საჭიროა ერთსულოვნად მოქმედება, თანხმობით გამოძებნა ისეთი პირების, რომელნიც განსაკუთრებულ სიყვარულით მოეკიდებიან ამ საქმეს და არაფრს დაზოგავენ საქმის მოსაწესრიგებლათ და გამოსარკვევათ. თეატრის აშენება და ხელსაყრელ პირობებში დრამატიულ ხელოვნების • ჩაყენება ფრიად ძნელი მოვალეობაა არასოდეს არ შეიძლება დაეკისროს ამის შესრულება რომელსამე ჯგუფს ან და პარტიას. მივანდოთ მხოლოდ იმათ, ვინც მართლა შესძლებენ შრომასა და მუშაობას.

ჯუანშერ.

საპარლამენტო ქრონიკა

ახალი ფრაქცია.

მემარჯვენეთა ფრაქციიდან გამოსულმა დეპუტატებმა დაარსეს ახალი დამოუკიდებელი ფრაქცია, რომელშიაც უკვე 34 დეპუტატი ჩაეწერა. ფრაქციის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა თ-დი გოლიცინი, მდივნად პოპოვი—მეორე.

სათათბიროს მუშაობის დროებითი შეწყვეტის გამო.

სათათბიროს უხუცესთა თათბირმა მიიღო კერენსკის წინადადება, რომ ერთხმათ გამოითქვას, რათა საშობაო არდადეგებისათვის, სათათბიროს მუშაობა, რაც შეიძლება, მოკლე ვადით შეწყდეს.

სათათბიროს მუშაობა.

ამავე თათბირმა გადაწყვიტა, რომ სათათბიროს სხდომები კვირაში სამჯერ მოხდეს.

მილიუკოვის საქმე.

მილიუკოვისა და შტიურმერის საქმე 2 ქრისტეშობისთვეს უნდა განეხილა სახელმწიფო საბჭოს პირველ დეპარტამენტს, მაგრამ საბჭოს საერთო სხდომის გამო, საქმის გარჩევა 7 ქრისტეშობისთვისათვის გადაიდო.

გიორგი იოსელიანი

(მისი 45 წლის საპედაგოგიო მოღვაწეობის გამო)

როგორც თანამოსამსახურეთაგანს, მსურს მკითხველთ გავაცნო ბ-ნი გ. იოსელიანი ორიოდე სიტყვით. მინდა შევეხო მის მიერ მტკიცედ და შეგნებულად არჩეულ ეროვნულ მიმართულებას.

ბ-ნ გიორგისთან რომ ხარ, თქვენა გრძნობთ ეროვნული სულის სიდიადეს, მის ცხოველმყოფელობას და იმ შეურყეველს ჭეშმარიტებას, რომ ჩვენს აწეწილს დროში მხოლოდ იდეას, განსაკუთრებით ისეთს, რომელიც შენს ერთან გასისხლხორცებს და გაკავშირებს და რომელიც ამ გზით გხდის მთელ საკაცობრიო ოჯახის შეგნებულ წევრად, აი ასეთ იდეას ძალუძს დაგიცვას ყოველისავე რყევისა და უილაჯობისაგან და მოგანიჭოს მარადისობის, უკვდავების განცდა.

ეს რამოდენიმე წელიწადია ვიცნობ ღრმად პატივცემულს ბ-ნ გიორგის, როგორც ქართულის ენის მასწავლებელს ხაშურის გიმნაზიაში და ერთხელაც არ გამიგონია მისგან ჩვეულებრივი სასოწარკვეთილი ოხვრა და ცხოვრების არარაობის აღიარება. ცხადია, რატომ: ვინც, მგოსნისა არ იყოს, მშობლიურს „კლდე-ღრეზე შემაგრდება და მშობლიურს ნექტარს იგემებს", ვინც მშობელი ერის კვნესატკივილით თითონაც იკვნესებს და იგრძნობს ამ ტკივილს, ვინც მშობლიური საუნჯის კარებს ფართედ შეაღებს და იქ აამოქმედებს თავის ენერგიას, ვისი მთელი არსება ანთებულა და გაშუქებულა მშობლიურ ცეცხლით და სიყვარულით, განა ა'ეთ რჩეულს პირს და ბედნიერს ამ საწუთროს არარაობა ხელს შეახებს? განა ასეთი პიროვნება არა სძლევს ყოველსავე დაბრკოლებას და არ განასახიერებს თავის პიროვნებაში უკვდავების იდეას—ამ დაუშრეტელს წყაროს ყოველისავე ჩვენის მოქმედებისას?

აი ამ უხვათ მაზნებარე ეროვნულმა ცეცხლმა შეაძლებინა ბ. გიორგის წარმოეთქვა დაუვიწყარი სიტყვები აკაკის გასვენებაზე, რომელსაც ხაშურის საზოგადოება რკინის გზის სადგურის ბაქანზე მოწიწებით და მუხლ მოდრეკით დაუხვდა.

ხაშურის საზოგადოებას, მრავლად თავმოყრილს, ბ. გიორგისაგან ესმა იმ დღეს მკვეთრი, გრძნობით და ცრემლით შეზავებული შესანიშნავი სიტყვა, რომელმაც ააქვითინა ყველანი: დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა, და რომელმაც მწარედ აგრძნობინა დამსწრეთ სიდიადე ეროვნულ უბედურობისა აკაკის დაკარგვით. მდუღარე ცრემლით სტიროდა მოხუცი ბ. გიორგი და ეუბნებოდა აკაკის: „შენ იყავ მოსე წინასწარმეტყველი, რომელმაც გააპე შენი კვერთხით ზღვა მეწამული".

დიახ, თვით ბ. გიორგი იმ დროს მომეჩვენა ძველ აღთქმის დროის ერთ-ერთ პატრიარქად, რომელიც ისევე დასტიროდა თავის ერის უბედურობას და ტანჯვას, როგორც ჩვენს თვალწინ სტიროდა მაშინ ჩვენი გიორგი. განა სულით უილაჯოს, ერის ჭირ-ვარამის უცოდინარს შეეძლო ისეთი სიტყვის წარმოთქმა და მთელი ხალხის ატირება? ასეთია სიძლიერე ერისადმი შეგნებულ უანგარო სიყვარულისა, ასეთია ამ სიყვარულის მადლიანი გავლენა მის ღირსეულად მატარებელზე.

ბ. გიორგის გაშლილი სახე და მისი ნათელი გამომეტყველება თითქო უსიტყვოთ ჩაგვძახის: „მოვედით, ყოველნო მაშვრალნო და ტვირთ მძიმენო, და დაეწაფენით მშობლიურს კერას და მანდ გაღვივებულს ცეცხლს, რათა განგისვენოსთ თქვენ".

ვით ამ სითბოს საჭიროების მლოდინელს და მოციქულს, ბ ნს გიორგის ჩვენი უმდაბლესი სალამი.

ქ. გაგუა.

ჭიათურის მრეწველთა საბჭოს მოღვაწეობა

([illegible])

ჭიათურის მრეწველთა საბჭოს მოღვაწეობა თვალსაჩინოა ჩვენს მრეწველობაში. მის შესახებ ბევრი რამ ითქმის, მისი ისტორია დიდია და სხვა დროს უფრო ვრცლათ შევეხებით, ხოლო ახლა გაკვრით მაინც გადავცემ მკითხველს მის მოღვაწეობა-დანიშნულების ამბავს.

ჭიათურის რაიონში შავი-ქვის მრეწველობამ თანდათანობით ფართე ხასიათი მიიღო და შემოიკრიბა გარშემო შავი ქვის დამმუშავებელ-მომხმარებელნი. ამ წარმოებას, თუ მწარმოებელთ, რაიმე ხელმძღვანელი ორგანო უნდა შეექმნა. ეს რამდენიმე წელიწადია, მრეწველები და მათი ორგანო საბჭოს სახელ-წოდებით, გადაჯაჭვულნი არიან ერთმანეთზე, თუმცა მრეწველთა ინტერესები არც ისე შეუღლებადი და უზრუნველყოფილი, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ საბჭოს არაფერი გაეკეთებინოს; ამისი თქმა უსამართლობა იქნებოდა.

დღემდე საბჭომ მოახერხა მრავალ დაწესებულებათა შექმნა. საბჭოს მოქმედებამ მოგვცა: საავადმყოფო, საუკეთესოთ მოწყობილი; ჭიათურის რაიონში მომუშავე მუშათა უზრუნველყოფა სხვა და სხვა უბედურ შემთხვევათაგან; კარგათ მოწყობილი აბანო; ელექტრონის სადგური, რომლიდანაც საბჭოს დაწესებულებათა განათების გარდა, ენერგია ეძლევა სხვა და სხვა დაწესებულებათ; ამ ხანად ამუშავდება ამ ენერგიის წყალობით ერთი მოზდილი ქარხანა; ჯარბი (კანალიზაცია), საუკეთესოთ მოწყობილი და დიდი ჩამოსაშვები (სპუსკი), რის საშუალებითაც გაცილებით იაფი ჯდება ქვის გადმოტანა; წყალსადენი ს. მღვიმევისათვის (სადაც წყლები დაშრო დედა-მიწის გულიდან ქვის გამოთხრის შედეგებმა), რომლიდანაც საშუალება აქვს საბჭოს, მიაწოდოს წყალი კიდევ ორ ახალ ქარხანას, რომლებიც ეხლა კეთდება მღვიმეშივე წვრილ მრეწველთა მეცადინეობით.

ვინც-კი იცნობდა დაახლოებით ჭიათურის არემარეს, ყველას კარგათ მოეხსენება, თუ რა გასაჭირს განიცდიდა მრეწველობა უგზოობის გამო, მაგრამ საბჭოს ენერგიულმა მოქმედებამ ის ნაკლიც სძლია და დღეს ამ მხრივ ბევრათ კარგ პირობებშია ქვის საზიდ გზებისა და მათი მუდმივი შეკეთების საქმეც დაყენებული; წყალსადენი, როგორც საბჭოს დაწესებულებათათვის, ისე ყველასათვის, ვისაც კი ჰსურს ტელეფონის სადგური; საუკეთესოთ მოწყობილი ბიბლიოთეკა და სხვა აუარებელი შენობები, როგორც თავის დაწესებულებათავის, აგრეთვე მოსამსახურეებისათვის და სხ., პირველ-დაწყებითი სასწავლებლები ვაჟების და ქალებისათვისაც საშუალო და ცალკე სკოლა ბერძენთათვის. საბჭოს ამ მხრივ არც ახლო-მახლო სოფლები დაუტოვებია უყურადღებოთ. აქვს ჭიათურის სასწავლებლის განყოფილება საჩხერეშიაც და ხელი შეუწყო ნივთიერად საჩხერის ხიდის გაკეთებას. საბჭო ყველა ამათ გაძღოლას, როგორც შემოსავლიან დროს, ისე აუტანელ კრიზისის დროსაც ახერხებს, ეს კია რომ უკანასკნელ შემთხვევაში, სესხის აღება სჭირია, რასაკვირველია. სამწუხაროა, რომ ასეთ დიდ დაწესებულებას, რომლის ხელშიაც წლის განმავლობაში დაუბრკოლებელი წარმოების დროს მილიონსა და მეტსაც აღწევს შემოსავალი, სესხი სჭირდება. დიაღ, სამწუხარო და სავალალოა, მაგრამ, როცა საამისო ლაპარაკი კი შეგვხვდრია სადმე, პირ-იქით, მრეწველთ უსაყვედურა საბჭოს ზოგმა წევრმა დაუზოგველობა, მაგრამ საბჭომ კარგათ იცის, რომ ჩვენი მრეწველები ჯერ კიდევ სრულიად მომზადებულნი არიან სამრეწველო საკითხებში და რომ იმათ კარნახი სჭირდებათ. ეს მოკარნახე საბჭოა. საბჭოსაგან წამოყენებულ პროექტებზე მრეწველთ უარით არც როდის უპასუხნიათ, მეტადრე როცა პროექტის საგანი ქველმოქმედება იყო. ამ საკითხში მრეწველები და საბჭო ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, აცა, რომელი უფრო მეტს გულუხვობას გამოიჩენთო. ერთ დროს საბჭოს სტიპენდიებით ხომ ბევრი საზრდოობდა. ამ სტიპენდიებზე 30,000 მანეთამდე გადიოდა წლიურათ.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილიდან აშკარად სჩანს შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს კეთილი სურვილ-მოქმედებანი. ასეთი სურვილები შემდეგშიაც დიდი იქნება; ამას თხოულობს ჩვენი გულ-კეთილობა და თვით მიზანი ჩვენი და ჩვენთა დაწესებულებათა, მაგრამ ყოველთვის უნდა ნავარაუდევ იქნეს, რომ შემოსავალი გასავალს სჭარბობდეს, რომ შავი დღეების დროს საფრთხეში არ ჩავარდეს ამდენი მისნი დაწესებულებანი, რაზედაც დამოკიდებულია თვით მოსამსახურეთა და ჭიათურაშიც ყველა დარგის მომუშავეთა მდგომარეობაც. უნდა შევნიშნოთ, რომ საბჭოს მოსამსახურენი ვერ არიან დღევანდელ პირობებში უზრუნველყოფილნი; ისინი ბევრ გაჭირებას განიცდიან, ამ ომიანობის დროს მაინც. ყოველივე საჭირო საქონელი, დაახლოებით 400—500°/₀ გაძვირდა, და აი ამდროს საბჭოს მოსამსახურენი თავიანთ საჭიროებას პასუხი უნდა გასცენ ძველ ჯამაგირებითა და იმ რამდენიმე °/₀, რაც ძლივს მოუმატა საბჭომ ამას წინეთ. ძლივს მოუმატა-მეთქი, ვამბობ, მიტომ რომ ამ უკანასკნელსაც ძლივს შეეძლო მოემატებია, რადგანაც თითონაც ფინანსიური მხრივ ცუდს პირობებში იმყოფება და, როგორც არა ერთხელ გვითქვამს, ამხანათ სესხით და ცოტაოდენი შემოსავლით უძღვება თავის აუარებელ საქმეს. თუმცა ამ ხანათ შავი ქვის გაზიდვამაც მოიმატა და შემოსავალიც, უნდა ვიფიქროთ, მეტია, მაგრამ ეს წვეთია ზღვაში. ამიტომ საბჭო უნდა ეცადოს შექმნას სათადარიგო თანხა, თუნდაც ამის შექმნისათვის ზოგ უკვე არსებულ გასავლის შემოკლება - შემცირებაც დასჭირდეს.

მოსალოდნელია, შავი ქვის მოთხოვნილება დიდი იქნეს მსოფლიო ბაზარზე, ამას ვხედავთ ამხანათ რუსეთის ბაზარზე, ხოლო ომის გათავების შემდეგ დამშეულ ევროპაში საჭირო შეიქმნება გაზიდოს დიდძალი ქვა ჭიათურიდან. საფუთო გადასახადი საბჭოს სასარგებლოთ უკვე ორ კაპეიკამდე ავიდა. ეს იმ დროს, როცა თვით მრეწველნი ხშირათ $^1/_2$—1 კაპ. ძლივს გებულობენ თვითეულ ფუთში! მაგრამ ამ საფუთო გადასახადის შექმნაც გამოწვეულია თვით მრეწველთა გულუხვობით. დიაღ, ყველა ეს მოსალოდნელია და მხოლოდ მოსალოდნელი, მაგრამ საბჭო და მრეწველები არ უნდა ენდვნენ ამას, რადგან ასეთი გაზიდვა და მოთხოვნილება შავი ქვისა ყოველთვის დროებითი გამომდგარა წინეთაც. და აი, ამ დროებით უნდა ისარგებლოს საბჭომ და სათადარიგო თანხა შექმნას და თავი დააღწიოს იმ ვალებს, რომელიც მას მძიმე ტვირთად აწევს. წვრილ მრეწველთა მდგომარეობაც ძალიან ცუდია ამ ხანათ. ასე იყო წინეთაც და ასე იქნება მგონი, აწიც. ამ მხრივ საყვედურის ღირსია საბჭო; ამ ორგანომ ბევრი რამ გააკეთა მუშებისათვის, ბევრი რამ გააკეთა თვისი მოსამსახურეთათვის, ბევრი რამ გააკეთა სწავლა-აღზრდის საქმისათვის.

მრეწველებისათვის კი არაფერი იზრუნა საბჭომ; შეიძლება, ეს თვით მრეწველთა დაუდევრობის ბრალიც იყოს, მაგრამ როგორც ვიცით, საბჭოა მათი მოკარნახე და საჭირო იყო ამ მხრივ რაიმე გაეკეთებია: მაგ. შეექმნა სამარხი კასა და სხვა: არიან ჭიათურაში დროებითი და მუდმივი მრეწველები. ყველა ამათ დამუშავებული შავიქვიდან საბჭოს კასას ემატება კაპეიკი ყოველივე ფუთზე, იმ დროს, როცა თვით მათ ამის ნახევარიც არა რჩებათ. ამ მხრივ უნდა გაკეთდეს აწი მაინც რაიმე, თუმცა საბჭო თავს იმართლებს: ამის ნებას არ გვაძლევს სამინისტროვო. ჩემის ფიქრით, სამინისტრო სრულიადაც არ იტკივებს თავს: გააკეთებს რასმეს თუ არა საბჭო მრეწველებისათვის. აქ უფრო ფულის დაზოგვის საქმე უნდა იყოს, საბჭო ქართული დაწესებულებაა. ეს ოცი, თუ მეტი წელიწადია არსებობს და ჯერ კიდევ ქართულ ენის ხმარება აკრძალული გვაქვს.

შავიქვის მრეწველთა საბჭო რომ ჭიათურაში იყოს მუდმივათ, ამით ბევრს მოიგებდნენ როგორც მრეწველობა, ისე თვით მრეწველებიც.

მრეწველობა და თვით ცენტრი თუ ადგილ-მდებარეობა ამ მრეწველობისა ჭიათურასა და მისი მიდამოებშია, და ამ დროს შავიქვის მრეწველთა საბჭოს ბინადრობა ქუთაისშია. ეს მიზანშეწონილი ვერ არის. თუმცა უცხოელმა მრეწველებმა ისიც-კი მოითხოვეს ერთხანათ, რომ ეს ორგანო ფოთში ყოფილიყო გადატანილი, რაიც ყოველსავე გონიერებას მოკლებული იყო. და მადლობა ღმერთს, რომ ისინი ცოტანი არიან ჯერ-ჯერობით წვრილ მრეწველებთან შედარებით, თორემ ისინი ფოთსაც გააცილებენ მას. ამ მხრივ როგორც სხვა მრავალში, ბ-ნი ზდანოვიჩი არც ისე დაბალი ლობე აღმოჩნდა და ამის წყალობით ბევრი რამე უფლებები შეინარჩუნა საბჭომ, რაიც ეკლათ ესობათ მის მტრებს. ჭიათურაში გადმოტანა ამ დაწესებულებისა აუცილებლად საჭირო იყო წინეთაც და აწიც ასევეა საჭირო; ეს საკითხი ბევრჯერ აღძრულა მრეწველთა კრებებზე, ბევრი ცხარე სიტყვაბიც დახარჯულა, მაგრამ ცხოვრებაში ამის გატარებას თვით საბჭოს შემადგენლობა ეღობება წინ. რა ვთქვათ დიდებზე, როცა დაბალმა მოსამსახურეებმაც კი განაცხადეს; ჭიათურაში ცხოვრება არ შეგვიძლიაო. მრეწველების ასე აბუჩათ აგდებაც არაა სასურველი, როგორც მოგახსენეთ, ამისათვის ბევრი ცდა დაიხარჯა და კიდე უნდა იზრუნონ და იბრძოლონ მრეწველებმა, სანამ ეს ასრულებული არ იქნება, რადგანაც აქ ვცხოვრობთ ჩვენ. აქაა წარმოება გაჩაღებული და საცხოვრებლათაც ჩინებული ადგილია.

ამით მრეწველთა ორგანო დაახლოებული იქნება საქმესთან, თვით მრეწველობასთან. სხვა, რომ არა იყოს რა, თუ განხორციელდა ლიკვიდაცია გერმანელთა ადგილებისა და ამ საქმემ საბჭოს მფარველობისა, თუ იმის ხელში ამოყო თავი, რაიც ადვილი შესაძლებელია მოხდეს, საბჭოს ხელმძღვანელთა ამ საქმეზე დაშორებით ცხოვრება და ქუთაისიდან მართვა ამ უდიდეს საქმისა არ გამოდგება.

ა. ხაზულიანი.

წერილი ქუთაისიდან

(უცხოელ პედაგოგის და ქართველ მგოსნის დღესასწაული რეალურ სასწავლებელში).

გიორგობისთვის შუა რიცხვებში აქაურ რეალურ სასწავლებლის მოწაფეებმა ბაქოში გაისტუმრეს დირექტორი ალ. ამიხოვი, რომელიც ამ სასწავლებელს, მეხუთე წელიწადია, ღირსეულად ხელმძღვანელობდა. ბაქოს გიმნაზიის სამზრუნველო კომიტეტს ბ. ამისოვი, როგორც იქ კაი ხნის ნამსახური და დამსახურებული, ერთხმად აურჩევია დირექტორად და ისიც იძულებული გახდა ქუთაისი დაეტოვებინა და ნოემბრის შუა რიცხვებში უკვე გამოეთხოვა თავის მოწაფეებს.

ამ გამოთხოვებას მეტად გულდამწყვეტი დემონსტრატიული ხასიათი ჰქონდა. შეგირდებმა თავიანთი საყვარელი აღმზრდელი ხელებზე ატატებული მოიყვანეს რეალურ სასწავლებლიდან ვაგზალზე. პროცესიას მოჰყვებოდა მშვენიერად გამოწყობილი მუსიკა. გზა და გზა პროცესიას მიმავალი ხალხიც მიემატა და 11 საათზე სადგური სულ ერთიანად გაიჭედა მაყურებლებით. დირექტორი შეგირდებს ძირს სულ არ დაუშვიათ; ვაგონებთან გაჩერებულს მას მრავალი სიტყვები უთხრეს დიდმა და პატარა მოწაფეებმა. ესენი გულდაწყვეტილნი ეთხოვებოდნენ თავის კეთილ აღმზრდელს. მათს სიტყვებში ნათლად იხატებოდა მამობრივი მზრუნველობა უცხოელ პედაგოგისა თავის მოწაფეებისადმი, განურჩევლად ეროვნებისა. ისინი აღნიშნავდნენ და ხაზს უსვამდნენ მის ჰუმანიურ მოპყრობას შეგირდებისადმი. ამ დროს მრავალნი გულაჩუყებულნი და თვალებ დაცრემლიანებული იდგნენ და დანაღვლიანებული შეჰყურებდნენ ატატებულ აღმზრდელს, რომელსაც ამხანაგების სახელითაც მგძნობიარე გამოსათხოვარი სიტყვა უთხრა სასწავლებლის ინსპექტორმა და შესაფერი ადრესიც მიართვა.

ყოველი სიტყვა მოწაფეებისა მუსიკით გამოსათხოვარი მარშით და მრავალჟამიერით ბოლოვდებოდა და ყველაფერს ბუნებრივი, თავისუფალი ხასიათის ელფერი ედვა. ყოველივე ამ სანახაობას თითეული დამსწრე სიამოვნებით შეჰყურებდა და უკვირდათ ასეთი პატივისცემა ამ ადამიანისადმი. აქ რკინის გზის ყველა მოხელეები და მათში ჟანდარმებიც კი მოწიწებით უყურებდნენ ამ მოდღესასწაულეს და მათი უფროსიც მის პატივსაცემლად გამოსულიყო სადგურზე და მოწიწებით ეთხოვებოდა მას და მის ოჯახობას, რომელთაც ქალებმა ბევრი ცოცხალი ყვავილები მიართვეს.

ბოლოს, ერთმა მეოთხე კლასის პატარა ტანის მოწაფეთაგანმა მესხმა თავის შეთხზულ რუსულ მეტად შინაარსიან ლექსით მიმართა, რომელმაც იგი აიტატა და კოცნით გამოეთხოვა თვის გულწრფელ აღზრდილს.

გამოსათხოვარ სიტყვაში ისევ ატატებულმა დირექტორმა, მეტის-მეტად აღელვებულმა და აცრემლებულმა სხვა კეთილ სურვილებთან ერთად შემდეგი სიტყვებით დაამთავრა გამოსალმება: „მე ამ ამბავს მშვენიერ საქართველოს მშვენიერ შვილებისას ჩემ სიცოცხლეში არ დავივიწყებ და მას ჩემ სულსა და გულში აღბეჭდილს სიკვდილის კარამდი მივიტანო" და სხვ. მისთ.

ასეთ გულმხურვალე გამოთხოვების შემდეგ თავიანთი სამაგალითო აღმზრდელი მოწაფეებმა ძირს დაუშვეს და მატარებლის წასვლამდი ისიც ალერსით და კოცნით ეთხოვებოდა მის პატივსაცემლად მოსულ დიდძალ საზოგადოების ორთავე სქესს და მახლობლებს ეპატიჟებოდა თავისთან, როცა ბაქოში ჩასვლა მოუხდებოდათ.

მხურვალე პატივისცემით გამოეთხოვა და გააცილა ამ დღეს დირექტორი კოლეგამ ქუთაისის კომერციულ სასწავლებლისამ, ბაქოდან ახლად ჩამოსულმა ბ-ნმა მ. ი. თაქთაქიშვილმა, რომლის ბაქოდან გამოსტუმრებაც, როგორც გაზეთებიდან ვიცით, ამგვარადვე გულდამწყვეტი ყოფილიყო.

საერთოდ აღსანიშნავია, რომ ასეთ თანაგრძნობით და გულდაწყვეტით გასტუმრებას აღმზრდელისას ქუთაისში, ჩვენს მახსოვრობაში, არც ადგილობრივი მოღვაწე და არც უცხოელი ჯერ არ ჰღირსებია. სადგურზე კი მრავალნი ამბობდნენ, რომ „ქართველებს უცხოელ ღირსეულ მოღვაწეების დაფასება მართლაც ღირსეულად სცოდნიათო". მხოლოდ ამისთანა უცხოელი ქუთაისს ათასში ერთი თუ მოევლინება,—დავუმატებთ ჩვენის მხრით.

აღსანიშნავია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ქუთაისის ქართულ-რუსულ პრესას, რომელიც თავის დანიშნულებას მეტად მარტივად, პროვინციალურად უყურებს და უფრო ინსინუაციებით და ჭორებით ავსებს ქაღალდის ამ საზღაპრო სიძვირის დროს თავის ფურცლებს, ამ პედაგოგთა სადღესასწაულო დღეს თავის მექრონიკეც კი არ ჰყავდათ აქ, რომ ასეთი ღირსშესანიშნავი მოვლენა ქუთაისის ცხოვრებიდან ღირსეულად აღენიშნათ. სამივე დღიურმა გაზეთმა ეს მოვლენა სრული დუმილით ჩაატარა.

* * *

ამ ღირს შესანიშნავ მოვლენასთან ერთად გვინდა აღვნიშნოთ ქართველ ფართო მკითხველების საყურადღებოთვე ქუთაისის რეალურ სასწავლებლის მოწაფეთა ცხოვრებიდან მეორე ნაირი სასიამოვნო ამბავი. ეს იყო **ნ. ბარათაშვილის საღამო**, 27 ნოემბერს გამართული აქაურ მოწაფეების მიერ. მათ თუ ნოემბრის შუა რიცხვებში უცხოელი პედაგოგი, მათი ლმობიერი აღმზრდელი მეტათ ღირსეულათ და სამაგალითოთ დაიტირეს და გაისტუმრეს, დღეს, იმ თვის მიწურულში თავისიანი საზოგადო მოღვაწე „ყარიბი მგოსანი“ ნ. ბარათაშვილი კიდევ უფრო ღირსეულათ გაიხსენეს და დააფასეს.

მეცხრამეტე საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრების პირველ პიონერთაგან მგოსან ნ. ბარათაშვილმა მისი დაბადების ასი წლის თავზე დიდი დ შესაფერისი ყურადღება მიიპყრო ქართველი შეგნებული საზოგადოებისა პრესაშიც და ცხოვრებაშიაც. აქ მოზარდი თაობაც არ ჩამორჩა ქართული ცხოვრების წყლმართ ჩარხის ტრიალს და აქ თუ სხვაგან ქართულ სასწავლებლებში თუ გაიხსენეს ნ. ბარათაშვილი, ქუთაისში მთავრობის ორმა უმთავრესმა სასწავლებლებმაც კიდევ უფრო ღირსეულათ იდღესასწაულეს ქართველი მგოსნის ასი წლის დაბადების დღე.

ეს საღამო რეალურ სასწავლებელში ახალ დირექტორის ბ. დიმიტრი პავლეს ძე ჟუხოვის ნებართვით მოეწყო რეალურ სასწავლებლის მოწაფეების ქართულ ლიტერატურულ წრეს თავიანთ ქართველ მასწავლებლების დახმარებით. საერთოთ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სასწავლებლის მოწაფე-მასწავლებელნი მეტად ცდილობდნენ დიდებულ მგოსნის ასი წლის გახსენების თავი ღირსეულათ და მართლა სადღესასწაულოდ მოეწყოთ და ეს განზრახვა სანაქებოთ შეასრულეს 27 ნოემბერს. ამ საღამომ დაგვიმტკიცა, რომ მთავრობის სასწავლებლებშიაც შეიძლება ქართული საქმეების ქართულ ნიადაგზე კეთება და თუ მკეთებელთა გული გულობს, ქედა ორივე ხელით იმძევა. და რომ რეალურ სასწავლებლის მოწაფეთა და აღმზრდელთა გული და სული მართლაც ქართველურად გულობს და სულობს არა ნაკლებ სხვებისაზე,—ეს აშკარად დავინახეთ გამართულ **ნ. ბარათაშვილის საღამოზე**, რომელზედაც სხვებთან შედარებით კარგის თქმის მეტს არას გვაიძულებს ჩვენი იმ ღამინდელი შთაბეჭდილება.

საღამოს მოთავე ლიტერატურულ წრეს მისი პროგრამა საკმაოდ შინაარსიანი და საინტერესოთ შეედგინათ და სტუმრებიც მრავალნი მოეწვიათ, ისე რომ სასწავლებლის ვეებერთელა ზალასა და მის მახლობელ ვეებერთელავე კარიდორებში ტევა აღარ იყო და მსმენელები ზალაში ჯდომის მაგიერ კორიდორებში დასეირნობდნენ, რაკი დასადგომი ადგილიც აღარ ხვდათ.

საღამოს შესრულებას ეტყობოდა, რომ მოწაფეების ამგვარ მოსაწონ თაოსნობას ახალი, როგორც ამბობენ, მეტად განათლებული, მცოდნე და ლმობიერი დირექტორი ბ. დიმ. ჟუხოვი და აქაურივე ქართველი მასწავლებლებიც თანაგრძნობით შეხვედრიან და თავიანთი წვლილი ვისაც რა შეეძლო და ეხერხებოდა, ამ ქართულ დღესასწაულისათვის მიეძღვნათ.

ასეთი საგრძნობი წვლილი იყო მიძღვნილი ამ დღისათვის ქუთაისში კარგათ ცნობილ გალობის მასწავლებლის ბ. კორნილი მაღრაძისაგან. ეს წვლილი გამოიხატა საღამოს სამუსიკო განყოფილებაში, რომლის მომწყობი და ხელმძღვანელი იყო ბ. მაღრაძე. მისი მოწაფეების მუდმივმა გუნდმა ქართული სიმღერა-გალობანი ბარათაშვილის ლექსებით მშვენივრათ შეასრულა. სიამოვნებით უსმენდით ბ. მაღრაძის ქართულ მუსიკას „მადლი შენს გაჩენს“, „მერანი“, „მიყვარს, მიყვარს მე ჭიკჭიკი“, „ჩემს ვარსკვლავს“ და სხ. მამის შედგენილი მუსიკა მშვენივრათ შეეთვისებიათ და მეტად ლამაზათ, წკრიალა ხმით გადმოგვცეს იგი მის ორმა ვაჟმა, ძმებმა, პ. და ლ. მაღრაძეებმა.

ქართულს არ ჩამოუვარდებოდა ამისავე გუნდის რუსული სიმღერებიც, რომლებიც ატკბობდა უფრო რუს მსმენელების ყურთა სმენას და საზოგადოება გაცხარებული ტაშის ცემით და „ბისის“ ძახილით აჯილდოვებდა მუსიკალურ განყოფილების მონაწილეთ და მათ ქართველ ხელმძღვანელს ბ-ნ მაღრაძეს.

მშვენიერათვე ჩაატარეს მუსიკა, გარდა მასპინძლებისა, მოწვეულ საპატიო მშობლებთა შვილებმაც. აქ თავი გამოიჩინეს კომერციულ სასწავლებლის დირექტორ ბ ნ მ. ი. თაქთაქიშვილის ოთხმა და-ძმა თაქთაქიშვილებმა, რომლებიდანაც მოსწავლე ორი ქალიშვილი მოხდენილად უკრავდა როიალზე, მესამე ვაჟი სკრიპკაზე, ხოლო მეოთხე ვიოლონჩელზე. ამ ოთხი ახალგაზდის მიერ შესრულებული „სერენადა“ დიდი ტაშის ცემით და ცოცხალი ყვავილების მირთმევით დააჯილდოვა მსმენელებმა.

ანტრაქტებში საზოგადოებას ართობდენ ისევ მშვენიერი მუსიკით მოწაფეების ორკესტრი, რომელიც მოხდენილათ ასრულებდა „კავკასიურ პაპურის“, „სამშობლო“-ს, „ფოსტის მთებში“ და სხვ.

სამუსიკო განყოფილებას არ ჩამორჩენია არც თავის პროგრამით და არც შესრულებით საღამოს ლიტერატურული განყოფილებაც. აქ ბარათაშვილის საუკეთესო ლექსები წაიკითხეს დიდმა და პატარა მოწაფეებმა ქართულათ და ორიოდე რუსულათაც ლექსებს კარგათ და გარკვევით კითხულობდენ: შალიკო ლამბაშიძე „მერანი“, ვასო ხმალაძე (რომლის ბანი მუსიკის გუნდს ამშვენებდა), ი. ჭიჭინაძე „სული ობოლი“, გ. ჯაფარიძე—„მადლი შენს გაჩენს“, ა. კაპანაძე—„არაგვი“, ბოროტი სული“—რუსულათ ზ. კუტალიამ და სხვ.

ნ. ბარათაშვილის ნამოღვაწევის გასაცნობათ ორი რეფერატიც წაიკითხეს უფროსი კლასის მოწაფეებმა. ერთი იყო რუსულათ დ. დუდუჩავასი: „ბარათაშვილი და მისი პოეზია“. მკითხველს შინაარსის შესაფერისი ხმა რომ შესწევნოდა, საზოგადოება უფრო მადლიერი დარჩებოდა. მაგრამ მისი ხმა შუა ზალას არ წვდებოდა და ამან შთაბეჭდილება დაუკარგა შინაარსიან რეფერატს..

სამაგიეროთ მეშვიდე კლასის მოწაფის გ. ხმალაძის რეფერატმა: „ბარათაშვილის შეხედულება ცხოვრების თაობაზე“ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა, რაკი გონიერ შინაარსთან ერთათ ავტორს ხმაც დიდი ჰქონდა და გარკვეულათაც კითხულობდა ქართულ რეფერატს.

საღამოს თაოსან ლიტერატურულმა წრემ რეალურ სასწავლებლისამ თავისი ნიჭი და მოხერხება მესამე დრამატიულ განყოფილებაშიაც სცადა ბარათაშვილის საღამოზე, მაგრამ ეს ნაწილი საღამოსი კი გვარიანათ მოიკოჭლებდა. საამისოთ მათ მაგრე რიგათ ვერც სცენა მოეწყოთ გარეგნულათ და ვერც ტანისამოსი ეშოვნათ „აშენდა საქართველო“-ს მომქმედ პირთათვის. ეს და ზოგიერთ მომქმედ პირთა ძალზე გადაპრეხილი ქცევა-ლაპარაკი რაღაც კარიკატიურულ სანახაობას აძლევდა კ. ფოცხვერაშვილის „აშენდა საქართველო“-ს. აქ გვარიანათ შეასრულეს თავიანთი როლი შ. ლამბაშიძემ და ვასო ხმალაძემ, რომელთაც შეუძლიათ თავისი ნიჭი ამ დარგში დაახელოვნონ სასწავლებლის გარეშეც.

ყოველივე სანახაობას თუ გაგონებამსმენს საღამოზე მხიარული მშობლები, რომელთა შვილები ბარათაშვილის საღამოში მონაწილეობას იღებდენ,—სიამოვნებით უსმენდნენ და ღიმილის სახით უყურებდენ მათ, რადგან თვალით ხედავდენ ნაყოფს თავიანთ შვილების ქართულ ნიადაგზე მეცადინეობისას. ეს მოვლენა კი მათაც ამხიარულებდათ და ზოგიერთი მშობელთაგანს იმდენად იტაცებდა და აღელვებდა ამ საღამოში მოხდენილი მონაწილეობა თავთავიანთ შვილებისა და ესენიც აჰყვებოდენ ხოლმე სხვებს და მათთან ერთად ტაშს უკრავდენ მომქმედ შვილების გამოსვლას სცენაზე. ასე მოიქცა, სხვათა შორის, ერთი ჩემ გვერდში მდგომი მშობელთაგანი, რომელსაც იმდენად მოეწონა თავის შვილის სიმღერა და მერე „აშენდა საქართველო“-ში მისივე თამაში, რომ მას „ბრავო, ვაშა და ბისის ძახილით იწვევდა მას სცენაზე და ასეთი მისი გრძნობა სრულიად ბუნებრივად მივიჩნიე...

ამრიგად რეალურ სასწავლებელში ბარათაშვილის საღამოს მოწყობით ერთი საგულისხმო ქართული საქმე შესრულდა ამ სასწავლებლის სატახტო ქალაქიდან დღეს ჩამოსულ დირექტორ ბ. დ. ჟუხოვის ხელში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს განათლებული პედაგოგი ზოგიერთ მოხელეებივით ჩვენში არ მოუშლის ახალგაზდობას რუსულთან ერთათ ქართულ ნიადაგზე თავიანთ ნიჭის განვითარებას და მით ქართული ლეგალური საქმეების მთავრობის სასწავლებელში წარმოებას, და ამით მისცემს მათ საშუალებას თავიანთ ადგილობრივ ცხოვრებას დაუახლოვდენ, იგი მეცნიერულათ და ობიექტიურათ შეისწავლონ, რათა მისი (რეალ. სასწავლებლის) მოწაფეები საზოგადოების სასარგებლო წევრები გამოვიდენ.

ამგვარათ თავიანთ ნიჭის განვითარებით მასწავლებლებიც და მოწაფენიც განამკვიდრებენ აქ იმ ქართულ ნიადაგს, რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში საკმაოთ საფუძვლიანათ მოამზადა აქ განსვენებულმა ქართული ენის მასწავლებელმა დავით ჩიმაკაძემ, რომლის მკვიდრათ ჩაყრილ საფუძველზე დღეს ქართულმა ლიტერატურულმა წრემ უნდა ამოუყვანოს ქართულ საქმეებს კედლები ამ სასწავლებელში...

ვნახოთ შემდეგ ნაბიჯს როგორ გადადგამენ აქაური მოწაფეები და მასწავლებლები ახალ დირექტორის ხელში...

ისიდორე კვიცარიძე.

ნ. ბარათაშვილის საღამო დონის როსტოვში

აქ არსებულ „ქართული საზოგადოების“ მეთაურობით ქართველმა სტუდენტებმა კვირას, 27 გიორგობისთვეს, გამართეს ნ. ბარათაშვილის საღამო. გახსნა გამგეობის ამხანაგმა ბ. დ. კინკლაძემ. თავის სიტყვაში მოკლედ დაახასიათა პოეტის პიროვნება, აღნიშნა მისი ღვაწლი ქართული ლიტერატურის წინაშე, აღნიშნა აგრეთვე მიზეზები, რომლებმაც წარმოშვეს მის რთულ პიროვნებაში ღრმა პესიმიზმი, შემდეგ მგოსანი დაუპირდაპირა ინგლისელ პოეტს ბაირონს და დასძინა: „თუ ბარათაშვილს გვერდში ვერ ამოვუყენებთ ისეთს მწერალს, როგორიც არის ინგლისის ლიტერატურის ტიტანი ბაირონი, მაინც ნ. ბარათაშვილს მ ოფლიო მწუხარების გამოხატვაში ქართველ მწერალთა შორის ტოლი არ ჰყავს. ნ. ბარათაშვილის სახელით თამამად შეუძლია იამაყოს ყოველმა ქართველმა“-ო, ამით დაასრულა თავისი სიტყვა და საზოგადოების თხოვნით მიმართა ფეხზე ადგომით პატივ ეცათ მისი ხსოვნისთვის. თავმჯდომარის სიტყვას შემდეგ სტუდენტთა ხორომ სტუდ. ბაკურაძის ლოტბარობით შეასრულა რამოდენიმე ქართული სიმღერა, რაც საზოგადოებას ძალიან მოეწონა. ამის შემდეგ სტუდენტებმა წაიკითხეს პოეტის საუკეთესო ლექსები და ადგილები „ბედი ქართლისა“-დან... სტუდ. ი. ბაკურაძემ წაიკითხა რეფერატი ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ. რეფერენტმა დასაწყისში დამსწრე საზოგადოებას გააცნო მოკლედ პოეტის ბიოგრაფია, შემდეგ დაახასიათა მისი პოეზიის შინაარსი. უმთავრესი ყურადღება მიაქცია პოეტის პესიმიზმს და სცადა საზოგადოებისათვის ნათელეყო ის ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდა ეს პესიმიზმი შემოქმედებისა და უმთავრეს მიზეზად დაასახელა „საზღვარ დადებულება ადამიანის შემეცნებისა და ხანმოკლეობა მისი ყოფნისა“, რის გამო ადამიანი უძლურია მიაღწიოს მიზანს, აღისრულოს საწადელი სულისა. რეფერატმა დიდი კამათი გამოიწვია. კამათში მონაწილეობა მიიღეს ექიმმა პ. ჭიჭინაძემ, ლოლაძემ, კაკაბაძემ, სტუდ. მ. ღვამიჩავამ, სტუდ. მხეიძემ და სტ. დიდებულიძემ. ორატორებმა უმთავრესი ყურადღება პესიმიზმის წარმოშობ მიზეზებს მიაქციეს.

დასასრულ, ბ-ნმა თავმჯდომარემ დამსწრეთ დაუხასიათა ის მდგომარეობა, როგორშიდაც იმყოფება დღეს ომისაგან დაზარალებული ჭანეთ-ლაზისტანი და სთხოვა საზოგადოებას მის სასარგებლოდ ყველას თავისი წვლილი გამოეღო. საზოგადოებამ დიდის სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება. შეიკრიბა 117 მ. 10 კ., საღამო ღამის 12 საათზე დასრულდა.

ფერანდ-მოთორი.

შემოწირულება

სამხურთალოზე წარმოდგენითა მმართველ წრის გამგეობის მთელი შემადგენლობა ულრმეს მადლობას სწირავს ყველას, ვინც თავისი წვლილი შეიტანა თეატრის ძველ დეფიციტებისა, მხატვრობისა თუ ახალ ბანისთვის გამოწვეულ ხარჯების დასაფარავად.

სია შემომწირველთა: თავად-აზნაურთა საკრებულომ 100 მან., ძმებმა ძლევაძლოვებმა 15 მან.

თითო თუმანი: ექიმმა ივ. გომართელმა, ბ-ნმა დიმ. გოგიაშვილმა, ნარ. ბერიაშვილმა და გრ. დიასამიძემ.

შვიდ-შვიდი მანეთი: შალ. ლებანიძემ, ალექსანდრე კუხიანიძემ, გიორ. ჯორჯაძემ და ივ. ბალანაშვილმა.

ხუთ-ხუთი მანეთი: შაქ. ჩიტოშვილმა, იოს. ლაშხიძემ, ბაგ. ფურაძემ და ცემა კახოვსკისამ.

ორ-ორი მანეთი: ბ-ნმა ალ. მეზურნიშვილმა და ალექ. მაღრაძემ. ერთი მანეთი: გიორ. მაღრაძემ.

დასასრულ, გამგეობა გულითად მადლობას უძღვნის ბ-ნ პართენ გოთუას, რომელიც ყოველ ჟამს ზნეობრივ დახმარებას უწევს თეატრს. მადლობასვე უძღვნის ყველას, ვინც რითიმე დაეხმარა თეატრის არსებობას.

გამგეობის მონდობილობით თავმჯდომარე მელქისედეკ ლეჟავიძე.

P. S. დანარჩენ შემომწირველთა სიას და თეატრის ანგარიშს შემდეგ გამოვაქვეყნებთ.

მ. ლ.

რედაქტორ-გამომცემელი
ხანდრო ზანზრაშვილი

გნედისა ანუ ავი-ზნის წამლობა

ვინც ამ ავადმყოფობით იტანჯება და რაც უნდა მორეული ჰქონდეს სენი, ავადმყოფი დიდი იქნება თუ პატარა, ვარჩენ და სამუდამოდ ვათავისუფლებ. ავად-მყოფთ შეუძლიათ ადრესის გასაგებათ მიმართონ რკინის გზის სადგურის უფროსს ქიათურის შტოზე სადგურ რკვიაში. ვ. კაჭარავა.

(3-116-3)

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.08	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	საღ.
ბორჯომისკენ	სამგზ.	№ 19,	3.20	დღ.
„	„	№ 17,	8.27	დილ.
გორისაკენ	სამგზ.	№ 61,	9.10	დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13	საღ.
თელავისაკენ		№ 4,	8 „ 58	„ დილ.

თფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.48	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
გორიდან	სამგზ.	№ 62,	6.34	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
თელავიდან		№ 3,	6 „ 24	„ საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ.	№ 3,	8.10	დილ.

სუსუნატი

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება სუსუნატის წამლით პირველ-ხარისხოვანი „გონოზანით“. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშუალება ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარგარეთულ ექიმებისა და პროფესორების მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

ჩვენი გარანტია.

თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშუალებაა. საშუალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და სამი შუშხაპუნებით რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავადმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შუშხაპუნებული ღირს ცხრა მან. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ რ. შმიდტ თბილისი, თხინვალის ქუჩა № 12 ოთდ. 3. მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მდეგის ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12 отд. 3.

პირადად ნახვა შეიძლება 2—5 საათამდე. წამალი იყიდება მთელი დღე.

—300—

თუ გსურთ,

რემინგტონზე რამე დაბეჭდვა,
რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით,
სახმის ქაღალდის დაწერა,
თხოვნების შედგენა,
საქმის და თხოვნის წარმოება,
ფულების შეკრება,
მოსამსახურის შოვნა,
საქონლის მინდობილობა,
ბინის გაქირავება,
ბინის შოვნა,
მამულის ყიდვა,
მამულის გაყიდვა,
მამულის დაგირავება,
მამულის იჯარით მიცემა და სხვ.

მიმართეთ
ცნობის კონტორას
ი. თ. გვათუასას

თბილისი, მეფის დაღმართი,
სახლი მელიქ აზარიანისა № 1

ყურადღებას ეს კონტორა
გასწევს როგორც ქალაქელთა
ისე მაზრელთათვის.

ყოველ საქმეს კონტორა სწრაფად და პირნათლად ასრულებს.

◆ ხელმისაწვდომ ფასებში ◆

მისამართი პროვინციელთათვის: Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора

ღვინის საწყობი

ნიკო გ. სესიაშვილისა

◆ იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუკეთესო ნამდვილი ◆

კახური ღვინო

განთვის ქუჩა № 4.
სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.

(185—წ.)

შეშის საწყობი
ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდომ ფასში

საკუთარი ტყიდან

საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც

(103—წ.) ტელეფონი 5—96.

ამხანაგობა

„კახური მეღვინეობა“
რუხუნიშვილისა და სონღულაშვილისა

კარკის (კირთინა) ქუჩა, № 12.

საკუთარ მარნებიდან მიჰყიდეთ საუკეთესო ღვინოებს,
თეთრი და წითელი, გურჯაანიდან, ვეჯინიდან
და კახეთის სხვა ღვინით განთქმულ სოფლებიდან.

(თ.)

ძირს ტანჯვა, ძირს საერთო სისუსტე, ძირს სქესობრივი უძლურება!

ვურჩევთ ყველას, ვინც საერთო სისუსტეს გრძნობს, სქესობრივად უძლურია— შეიძინოს ახლად გამოგონილი საშუალება პილიულები **მოლეციტინი** (დისალევი) ნებადართულია მთავარ სამედიცინო საბჭოსაგან № 801.

— მოლეციტინი საშუალებაა სისხლ-ნაკლებობისათვის, უმადობისათვის, რახიტის, ნევრასტენიის, ცენტრალურ ნერვთა სისტემის ავთების წინააღმდეგ.

— მოლეციტინი მოწონებულია ბევრ ექიმისაგან, როგორც აღმადგენელი ორგანიზმისა და ავადმყოფის გამომბრუნებელი.

— მოლეციტინი უვნებელი საშუალებაა და ჰრგებს არა მარტო ავადმყოფობის დასაწყისს, არამედ ავადმყოფობის გაარჯლების შემდეგაც.

— მოლეციტინი მშვენივრად მოქმედებს ვერცხლის წყალით და სხვა პრეპარატებით სიფილისის წამლობის დროს დაუძლურებულებზე. აღადგენს ძალას, მადას ჰმატებს, ნერვებს ამშვიდებს, ტეხას და წელის ტკივილს სპობს.

— მოლეციტინი სპობს უძილობას, ყრუობას, ყურებში წივილს, ნევრალგიურ ტკივილებს, სუნთქვის შეკვრას, აჩერებს თმის ცვენას.

— მოლეციტინი კარგად მოქმედებს ნერვების აშლილობაზე საზოგადოდ და უმთავრესად ქალების ავადმყოფობაზე.

— მოლეციტინი ჰრგებს აგრეთვე სპაზმოფილის ასტმატიურ მოვლენების დროს და საზოგადოდ ნერვიულ ავადმყოფობის დროსა.

— მოლეციტინი კარგად მოქმედებს აგრეთვე ქალების თვიურების მოსპობის დროს და ანელებს გულის ფრიალს, თავსბრუ ხვევას, ოფლიანობას, უძილობას.

— მოლეციტინი ჰშველის ორსულობის დროს, სპობს უგუნებობას (რაიც ძლიერ ხშირია) და გულის რევას.

— მოლეციტინი კარგად მოქმედებს ონანისტებსა და სქესობრივად უძლურებზედ.

— მოლეციტინი მარგებელია როგორც დიდებისათვის, ისე ბავშვებისათვის.

— მოლეციტინი ჩქარა იკარგება ორგანიზმში და არ მოქმედებს კუჭზე.

— მოლეციტინი ძლიერ ადვილი სახმარი წამალია, ყველას შეუძლიან დამოუკიდებლად იწამლოს ყველგან, სადაც უნდა იყოს.

თითო კოლოფის ფასი 3 მან. სრული კურსი წამლობისა საჭიროებს 5-დან 10 კოლოფამდე. იგზავნება ფასდადებით 5 მან. ბეის მიღების შემდეგ.

შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ რ. ი. შმიდტთან. Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12 отд. 3. თხინვალის ქუჩა № 12. მე-2 სახ. უბანი გოლოვინის პროსპ. მამადავითის ქუჩის ახლოს.

(თ.)

თევზის მრეწველნი
ძმ. მეზველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ზვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნი“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა «ცნობის ფურცლის» კომპანიისა, გამზრდის შესახვევი № 4.